


საქართველოს



იმიტანა წმინდა საცმეში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭებობით ბუძთის გაფანა ყუულა უჯადრისდბაჩე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, **23** ოქტომბერი, 2013 წელი.

№203 (7330)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„ტირანია ხუთ დღეში დასრულდება!“



პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გუშინ სტუდენტებმა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი გააპროტესტეს.

აქციის მონაწილეებმა სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდი დაგმეს. როგორც მათ განაცხადეს, ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანაში იყო ტირანია და სასიხარულოა, რომ ეს უუსტად ხუთ დღეში დასრულდება.

ამასთან აქციის მონაწილეებმა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდი ფაშისტურ მმართველობას შეადარეს. მათ მოტანილი ჰქონდათ ტრანსფორანტები, სადაც გამოხატული იყო ე.წ. სვასტიკა. ასევე რამდენიმე ახალგაზრდა მოსული იყო სამხედრო ფორმით და სვასტიკიანი სამკლაურები ეკეთათ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ისინი საქართველოს ყველა რეგიონში ჩავლენ და ყველგან დაგმობენ სააკაშვილის მმართველობის პერიოდს. სტუდენტებმა ერთმანეთს მიულოცეს სააკაშვილის მიერ თანამდებობის რამდენიმე დღეში დატოვება.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები.

მეივე ეპოლოგიურ ვითარებას პატრიარქის მიერ გახსნილი ფონდი მოაგვარებს

4

ხელისუფლება გადაჩინების გადაჩინეს სდილობს

სააკაშვილს პროკურატურაში გამოძახებას უნინასნარკოტიკოვლებან

8

ზემოიპირული წინასაარჩევნო კოლიტოლოგია

9

ვაკის პარკის განახლების შედეგობა



დღის ამფრაზურიდან ნაციონალი ზურაბ მელიქიშვილი – პოლიტექნოლოგი



– ბატონო ზურაბ, რას იტყვით წლევეანდელ რთველზე? გლენი ხომ უფრო მეტად კმაყოფილია ანაზღაურებით, ვიდრე თქვენს დროს?

ზ.მ. – ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია. გადასახადების ამოღებამ იკლო, ძალიან ცუდი პირი უჩანს ბრონეულის მოსავალსაც.

– მე ყურძენზე გეკითხებით, ბატონო ზურაბ.


ზ.მ. – ბევრად ნაკლებს იბარებს ამჟამად სახელმწიფო კარალიოკსაც და ხურმასაც.

– რთველს როგორ აფასებთ?

ზ.მ. – ეგ თვითონ გლენებმა უნდა შეაფასონ. ჩვენს შეფასებას რა ფასი აქვს... ისე, არც ბურთაღელვის მოსავალია სახარბიელო...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებან ვერ ნახავ!..

ალიანსა, არაო!



საქართველო 2014 წელს ნატოს წევრი არ გახდება

ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუს ურუნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაადასტურა ნატოში გაწევრების მისწრაფება. მაგრამ მომავალ წელს ეს ნამდვილად არ მოხდება. ჯერჯერობით, ჩვენ ვითანამშრომლებთ საქართველო-ნატოს საბჭოს ფარგლებში, - განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

მისივე თქმით, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოც და უკრაინაც ალიანსში გაწევრების სურვილით წარდგნენ. თუმცა, შემდეგ უკრაინამ გადამწყვიტა, იხელმძღვანელოს რაიმე კავშირში შეუსვლელი პირობებით.

ჩვენ ვითანამშრომლებთ ამ ქვეყანასთან უკრაინა-ნატოს საბჭოს ფარგლებში, - დასძინა ანდერს ფოგ რასმუსენმა.



ვითარება

ქსპერტთა კლუბი თუ პრემიერის მრჩეველთა საბჭო?

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედზე“ გადაცემა „პოლიტიკის დროში“ საუბრისას გუშინ განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილი ექსპერტთა კლუბში ერთადერთი იყო, ვინც ხელფასზე უარი თქვა.

ექსპერტი ვაჟა ბერიძე მიიჩნევს, რომ ექსპერტთა კლუბი, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა, მისი მრჩეველთა საბჭო იყო, სადაც 13 ექსპერტი შედიოდა.

რაც შეეხება ექსპერტთა კლუბს, ბერიძის ინფორმაციით, კლუბი არის საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელშიც სხვადასხვა საჭირობით პრობლემების განსახილველად ექსპერტები იკრიბებიან, თუმცა ხელფასები არ გაიცემა.

მე ხელფასი ავიღე, როდესაც ვიყავი ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი. საუბარია 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერზე - ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის პერიოდზე, როდესაც მე მიმინვიეს და ორი თვის განმავლობაში ვიყავი მრჩეველთა საბჭოს წევრი.

არჩევნები

აკაკი ასათიანი თავის ხმაზე ბურჯანაძეს აქლავს

პრეზიდენტობის კანდიდატი აკაკი ასათიანი მხარდასმობს მოწოდებას, 27 ოქტომბრის არჩევნებში ხმა მის ნაცვლად ნინო ბურჯანაძეს მისცენ.

კანონით დადგენილი პროცედურების გამო, ასათიანი არჩევნებიდან კანდიდატურას ექვსსა, საარჩევნო ბიულეტენში წარმოდგენილი იქნება, თუმცა საკუთარ ამომრჩეველს არჩევანის ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ გაკეთების თხოვნით მიმართავს.

როგორც ასათიანი აცხადებს, მან აღნიშნული გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებების გამო მიიღო.

პრემიერის განცხადებებმა არჩევნებში ხმების 70%-ის მიღების შესახებ, იმან, რომ დაგვიტოვებს პრემიერს და მერსაც დაგვინიშნავს, ეს ნაბიჯი გადასადგმევინა. ეს ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებას უჭერს ხელს. ნინო ბურჯანაძე არასაპარლამენტო ოპოზიციიდან პრეზიდენტობის ყველაზე რეიტინგული კანდიდატია და ახლა ხმების დაქსაქსვის ნაცვლად, საჭიროა კონცენტრირება, - აცხადებს აკაკი ასათიანი.



რა, ნამდვილად არ იყო - გამოვიდა ისე, რომ მის მიერ გადახდილ თანხაზე ექსპერტების პოზიციები უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ექსპერტებსაც ხომ ეტყობათ, რამდენად არიან დაქირავებული. ექსპერტების მსჯელობამ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე პრემიერის კრიტიკული ტონი და უკმაყოფილება გამოიწვია. ეს გვაფიქრებინებს, რომ სიტუაცია ისეთი არ იყო, როგორც მისი ფრაზიდან გამომდინარე, რადგან ბოლოს და ბოლოს, ამ ფიგურისადმი ვალდებულების გრძობის შემთხვევაში, ყველაფერზე გაჩუმება შეიძლებოდა, თუმცა ექსპერტთა კლუბიდან არავინ გაჩუმებულა. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე ექსპერტთა კლუბთან დაკავშირება, ჩემთვის გაუგებარია, - განაცხადა რამაზ საყვარელიძე.

ივანიშვილის ბარამოსვას მეორე აღვიღებ ბაქრაძის გასვლა ურჩევნია

„დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე საქართველოს რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, წინასწარჩევნო კამპანიის ფარგლებში „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ზესტაფონის მოსახლეობას მეორედ შეხვდა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ხალხთან შეხვედრის დროს მას რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადგილებზე ხდება გარიგებები „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის, რომ რაღაც არ უნდა დაუფლდეთ, ბურჯანაძე არ გავიდეს მეორე ტურში. ნინო ბურჯანაძემ აქცენტი გააკეთა ქვეყნის საგარეო კურსზეც. ბურჯანაძის განცხადებით, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, საქართველოს საგარეო კურსი იქნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების განხორციელებისაკენ მიმართული.

ინფორმაცია

რა მოხდა ხუთი წლის წინათ ხურჩაში?

საბჭოთა პერიოდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ტერორისტული აქტის მოწოდების ბრალდებით შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა დააკავეს.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანი განაცხადა, მასთან ერთად დააკავეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დონის ოპერატიული ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურდულია.



შს სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, შსს სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება, ასევე ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

კერძოდ, გიორგობიანის თქმით, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით სოფელ ხურჩაში მოხდინდა შეხვედრა იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებებით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას.

დასახელებულ დროს, სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურდულიამ და მათმა თანამზრახველებმა, ავტომობილი ცენტრ-სასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე, მალხაზ მურდულიამ „ერ პე გე“-ს ტიპის ყუმბარათმ-

ტვორცნით ააფეთქა ხალხის გადასაცვანად მოხილებული ავტობუსები.

აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ. ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან აუნაზღაურეს მიყენებული ზიანი.

გიორგობიანის თქმით, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე, ან უფადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება გრძელდება დამკვეთის და სხვა პირების გამოსავლენად.

თეთრაქის საქმეში მონაწილე თანამდებობის პირები კადრების განკარგულებაში არიან გადაწყვეტილი

საბჭოთა პერიოდის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დირექტორის თანამდებობის პირი კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი.

თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა კონსტანტინე ვიციანმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ ყოფილია გამოძიებულმა გიორგი ხევსურთან განცხადების საფუძველზე დატოვა თავდაცვის სამინისტრო.

გიორგი ხევსურიანი, არსებული ინფორმაციით, გამოძიებულად მუშაობდა იმ პერიოდში, როდესაც სერგო თეთრაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის ინფორმაციით, კადრების განკარგულებაში, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით, გადაყვანილია 10 ადამიანი, მათ შორის მოქმედი სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან გაბუნია, სამინისტროს გენინსპექციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ზაზა მჭედლიძე და გიორგი ხევსურიანი, რომელიც თავდაცვის ატაშეების სამმართველოს სპეციალისტი იყო.

კაკალ გულში

წერილობანი ფრაზები

● ვეძებ სამსახურს. შუამავლები ნუ გამომეხმარებთ!

● ეაცმა რომ თქვას, რა ნდობა უნდა გქონდეს ოჯახში გაზრდილ ადამიანს იმ საარჩევნო კომისიისა, რომელსაც, როგორც თვითონვე ამბობს, არასამთავრობო სექტორში გაზრდილი ადამიანი ხელმძღვანელობს?

● საქართველოსი კი არა, სირიის პრეზიდენტი იყო ესა (და დღესაც სირიის პრეზიდენტი)! ● რა პელებ, ტოოო, იმენა მარადონაა ჩემ თვალში.

● ემოციებით მაცხოვრებელ, იდიოტზე შეყვარებულ, ჰაერში მოფარვალე არსებებზე არ მაქვს ბაზარი, მაგრამ ყველა იმ მამრს, ვინც მანიაკ მამათავალზე აპირებს ხმის მიცემას, პირად მტრად განვიხილავ, ამიტომ ვეუბნები მათ: თქვენ გინდათ, რომ ის დრო დაბრუნდეს?

ამოკრიბა გია ბაბარიძე

წუ გავიწყდათ!

გადაპარჩინოთ სვანეთი - გადაპარჩინოთ საქართველო!

სეილსუფალო, ნუთუ გეგლეის, მამა-პაპათა საფლავების გადატანა ძირ-ძველი მიწებიდან, ადამიანთა გადასახლება, ტყვეობის გაჩენვა, დატბორილი სახანაგ-სათესები თანაზომადია თქვენს მილიარდინ კომპენსაციამ? მინდა შეგახსნოთ, რომ კომუნისტებმაც კი თავის დროზე უარი თქვეს სუდონების მშენებლობაზე. წყლით უმდიდრეს ჩვენს ქვეყანაში პატარა შესებების მშენებლობა, მაღალპროფესიონალი ენერგეტიკოსების აზრით, ყოველმხრივ გამართლებულია.

ხელისუფალნი, ნუ გაიწყვიტებთ, რომ ბუნება მნიშვნელობს საზოგადოებისათვის არა მარტო



როგორც საარსებო საშუალება, არამედ როგორც კულტურული ყოფიერების პირობა. ადამიანის ნამდვილი ყოფიერება არის არსებობა სამყაროს ყოფიერებაში. ადამიანი იმყოფება, ერთის მხრივ, უშუალო, დეტერმინირებული დამოკიდებულებაში ბუნებასთან, მეორეს მხრივ, იგი ცდილობს განთავისუფლდეს ამ დაქვემდებარებული დამოკიდებულებიდან. ჩააყენოს ბუნება თავის სამსახურში, დაიქვემდებაროს, აიძულოს, ემსახუროს მას, და სწორედ ბუნებასთან ამ დაქვემდებარების გადალახვის პროცესში ჩნდება ეთიკურისა და ესთეტიკურის დეფიციტი. ადამიანს უნდა ჰქონდეს ბუნებასთან ურთიერთობის გარკვეული წესი, რომელიც გულისხმობს შესაბამისობას ადამიანის მზარდ მოთხოვნილებებსა და ბუნების შესაძლებლობებს შორის და რომელიც მნიშვნელობს მალალი ეთიკური ნიშნით. სწორედ ამ წესის დარღვევა იწვევს ეკოლოგიურ კატასტროფებს.

ხელისუფალნი, ნუ ხელყოფთ სვანეთის მშენებებას; ის ხომ მთლიანად საქართველოს მშენებება! არ დაუშვათ, რომ სვანეთის ბალოვის ზარბეზმა დარეკოს საქართველოში! გონს მოეგეთ!

ლონდა მიდიანი

საქართველოს დამოუკიდებლობაზე, შედარებით დამოუკიდებლობაზე(!) და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თუ ვფიქრობთ, წყალი, საქართველოს ეს უკანასკნელი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი და ულევო რესურსი, როგორც უნდა შევინარჩუნოთ. არაფრით არ შეიძლება დავეშვათ, რომ იგი, სხვა რესურსების მსგავსად, ისე უცხოურმა კომპანიებმა ჩაიგდონ ხელში. მით უმეტეს, რომ კორპორატივობა არ მალავს — **„მტკნარი წყლის მარაგებზე კონტროლი ნებისმიერი სახელმწიფოს (პირველ რიგში, ჩვენი თანა!) ხელისუფლებაზე უემოქმედების ბერკეტს, მისი ეკონომიკით მანიპულირების საშუალებას გვაძლევს“** (ჯონ პერკინსი მეორე წიგნი). წყალს აუცილებლად ბ-მა ბიძინამ და ქართველმა ბიზნესმენებმა უნდა მიხედონ, სხვანაირად, დავიღუპებით, სამუდამოდ დაკაბალებული და სხვის ხელში შევსურენი დავრჩებით. საქართველოს სიმდიდრეები, ძირითადად, ამ სხვების ხელშია — ოქრო ჩვენი არაა, თუ ნავთობი აღმოაჩინეს სადმე, ისიც გასხვისებულია უკვე, გასხვისებულია აშენებული და მომავალში ასაშენებელი პესების ელექტროენერჯიაც, ასეა ყველაფერი; ერთადერთი სასამელო წყალია დარჩენილი და მას მაინც მივხვდებით სახელმწიფოებრივად. ხელისუფლებიდან მისთვის შემდეგ იმაზე კარგს ვერაფერს იზამს ბ-ნი ბიძინა, თუ თავად (სხვა ბიზნესმენებთან ერთად) სასამელო წყლის მაღალი დონის ბიზნესის აწყობას მიხედავს. უცხოეთში მთლიანი კაპიტალის დაბანდვას, სადაც ყოველთვის არის ანგარიშების გაყინვის საშიშროება (მიზეზის გამოძებნა არ უჭირთ!), ალბათ, აჯობებდა კაპიტალის განაწილებას დასავლეთშიც, რუსეთშიც და ნაწილი — საქართველოში. მე რა ჭკუა უნდა ვასწავლო მილიარდერ კაცს, მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე (დასავლეთში, ჩრდილოეთში თუ სახლში), მის ჩემზე უკეთ მოუხსენება, მაგრამ ფეხის ამოკვეთა რუსეთის უზარმაზარი ბაზრიდან, ან ყოველ ბიზნესზე უარის თქმა და საქართველოშიც ბიზნესის არწამოწყება, ცოტა გაუგებარია (შესაძლოა, იძულებითიც!).

ვიმედოვნებ, სააკაშვილის „გასტუმრების“ და პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში გადასვლების შემდეგ ბ-ნი ბიძინა მართლაც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მით უფრო, თუ იმასაც გაითვალისწინებს, რომ ამერიკის კონგრესის ეკონომიკური კომისიის მონაცემებით **მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების 60%(!) ვერ სორტირდება, ვარდება** და, თუ უჭკუოდ და ნამდებნიანად გასხვისებული ობიექტების გამოსყიდვასაც მოახერხებს, ამით ხომ მთლად საშველი შეიძლება გააკეთებს. ყველაფერი სურვილზე და ფინანსებზეა დამოკიდებული, საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერთონ სხვა შემძლებელი ქართველებიც, ასეთები კი, ძირითადად, რუსეთშია.

ხელისუფლების პოლიტიკის შემხედვარე, ძალიან ვშიშობ, წყალსაც უცხოელებზე გაყიდვიან — თუკი მიწას ყიდვიან, მიწა და წყალი რამ გაყო და განასხვავა, წყლის გაყიდვისგან თავს შეიკავებენ ვითომ?! ხელი-სუფლებს ხომ ძველებურად, „ბენდუნოპის“ პრინციპით — „იყიდება ყველაფერი“ მოქმედებს (მიწების უცხოელებზე გაყიდვის თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებული ერთადერთი ჭკვიანური მორატორიუმის შეჩერება ხომ თავად პრემიერმა მოითხოვა!). ვშიშობ იმასაც, რომ არც რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს დართავენ საქართველოში აქტიურობის ნებას — როცა „ქოცების“, „ნაცების“ მსგავსად, ხმის(!) უფლებას ართმევენ რუსეთში მცხოვრებ მილიონამდე(!) ქართველს (ამის მოგვარებასაც 7 მილიარდი სჭირდება ბიუჯეტისგან?!), როგორ გინდა დაიჯერო, რომ ისინი ბიზნესმენებს მისცემენ გასაქანს?! როცა „ნაცების“ და „ქოცების“ პოლიტიკაში არავითარი განსხვავება არ არის არჩევნებთან და მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით (ალარაფერს ვამბობ საგარეო პოლიტიკის აბსოლუტურ თანხვედრაზე), განა შეიძლება უკეთესი მომავლის იმედი გვქონდეს ამ ხელისუფლების ხელში?!

პრეზიდენტის იმპიჩმენტი გვიწოდოდა — ამერიკა ვერ გაგვიგებსო, გვეუბნებოდნენ; დროზე გადადგომას ვითხოვდით (მიღობი ორასი ათასი ხელმოწერით!) — იგივეს გვიპასუხებდნენ; დამნაშავე ნაცების გასამართლების მოთხოვნაზე და სხვა რამეებზეც ხელისუფლებას ერთი და იგივე „ახსნა“ აქვს — „ნაცები“ ისეთ ინფორმაციას აწვდიდნენ დასავლეთს ცხრა წლის მანძილზე (და დღესაც აწვდიან), რომ ძალიან დიდი ძალისხმევა დაგჭირდა სიმართლის გასატანად და ჩვენი ოპონენტების გადასარწმუნებლად... „ფიცის მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ ამაზეა სწორედ ნათქვამი.

გავიბრიყვებთ თავს (მაინც ბრიყვებად არ გვთვლიან?) და დავიჯერებთ, რომ, როგორც იქნა, გაგარდვიეთ ნაცების ლობისტების მიერ აღმართული სიცრუის კედელი, როგორც ამაში გვარწმუნებს პრემიერი, და „უფროს მეგობრამდე“ მართალი ინფორმაციის მიტანა მოვასწერეთ. თუ ეს ასეა, თუ ამერიკამ მხოლოდ ახლახან შეიტყო სიმართლე, მან ბოდიში უნდა მოგვისადოს საქართველოს მოსახლეობას 9 წლის მანძილზე (წინა წლებს თავი რომ დავანებოთ) დამნაშავე რეჟიმის პოლიტიკურ-ფინანსური მხარდაჭერისთვის და, მეორეც, აქეთ უნდა მოგვითხროს კატეგორიულად(!) კანონდამრღვევების სათანადო დასჯა, და არა

პირიქით, — არ გაბედოთ ჩვენი გამოზრდილების(!) დასჯა; არ გამოიძიოთ ცხინვალის ომი და ლაფანყურის ოპერაცია; ხელი არ ახლო ჩვენს მიერ დაფინანსებულ, ჩვენი კადრების სამჭედლო „ასო“-ებს; თქვენს, ფაქტობრივად კი, ჩვენს(!) ბანკებს; არ დაუშვათ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები; დაამუშავეთ პოლიტიკურ-ეკონომიკური ამნისტია (ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული რეზიდენტის უსუფაშვილის ხელმძღვანელობით) და საქმე წინ რომ წაიგდოთ, დახმარების მიზნით აგერ 20-კაციანი საიასაც გაახსლებთ, რომლებსაც „მეგობრულად“ გთხოვთ, არ წაგცდეთ ხელი და თითი არ დააკაროთო (ეს ინფორმაცია სარწმუნო წყაროდანაა).

ასე რომ, იმის მტკიცება, თითქოს, ყველაფერი ნაცების ლობისტების ბრალი იყოს და, არა — თავად ამერიკის მიერ საქართველოში გატარებული პოლიტიკის, ძალიან შორსაა სიმართლისგან, იგი მხოლოდ ამერიკის მამა აბრამის ბატკნად წარმოჩენას ხალხის შეცდომაში შეყვანას და ამერიკისთვის კულის ქიციანს ემსახურება. უზომოდ, უზნობრივად დასულ თავის დახრას დიპლომატია არ ჰქვია, ასეთ „დიპლომატიას“, როდესაც გარედან ზენოლას მხოლოდ ქვენოლას ვუპირისპირებთ, და ნებისმიერ „კომპაბიტაციურ“ პოზაზეც (ანუ მოთხოვნაზე) თანახმა ვართ, არავისთვის არ მოუტანია კარგი შედეგი არასოდეს.

გვეუფლებს რამე?

სახელმწიფოს მართვა და სწორების დონა



მსოფლიოს ან, თუნდაც, საბჭოთა კავშირის რომელ სახელმწიფოში — მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთსა თუ შორეული ბალტიისპირეთის ქვეყნებში აძლევენ ამერიკის ელჩის ისეთი აქტიურობის და ყველანაირ საქმეებში ჩარევის უფლებას, როგორც ჩვენთან? მე ასეთი უთავმოყვარეო სახელმწიფოს თაობაზე არაფერი მსმენია. ყველა ელჩი, ჩვენი „დამოუკიდებლობის“ დროიდან დანერგული, ერთმეორეზე „უკეთესი“ იყო და მათი „ყურადღება“ არასოდეს არ გვაკლდა, მაგრამ, ამ კუთხით, ამჟამინდელმა ყველას გადააჭარბა. არ არსებობს სახელმწიფოში რაიმე შემთხვევა, მოვლენა, კონფლიქტი, დაპირისპირება ნებისმიერ ნიადაგზე და ნებისმიერ დონის, რომ ელჩი ადგილებზე, მიყრუებულ სოფლებშიც არ გაეცნოს სიტუაციას თავისი ინიციატივით, და კომენტარი შეფასება არ გააკეთოს, რჩევები არ მისცეს ხელისუფლებას; 27 ოქტომბერსაც ზუგდიდში ჩადის — არჩევნების პროცესს უნდა დააკვირდეს (2012 წლის ოქტომბერში კი არჩევნების შემდეგ ჩავიდა სიტუაციის განსამუხტავად!). ამ აქტიურობაში ელჩს ძალიან ბევრი ესმარება — მასთან საკონსულტაციოდ, საჩივრებად, დასასმენად, ინფორმაციის მისაწოდებლად, დახმარების მისაღებად გარბიან ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, პარტიების ლიდერები, ომბუდსმენები, სამეურვეო საბჭოს თუ ცესკოს თავმჯდომარეები (ცესკოს თავმჯდომარეებიდან ძველს, მიმავალს პირდაპირ ამერიკაში იწვევენ, და იქიდან პრეზიდენტობის კანდიდატად გვიბრუნებენ, ახალი კი, დანიშნისთანავე პირდაპირ ამერიკის ელჩთან გარბის პატაკის ჩასაბარებლად!) და, თავისთავად ცხადია, „ასო“-ების და ხელისუფლების ორივე შტოს — „ნაც-ქოცების“ წარმომადგენლები („ნაცები“ და „ქოცები“ ადრე ცალ-ცალკე იწერებოდა, ახლა — ტირეთი; ტირე კომპაბიტაციის უმაღლეს საფეხურს, მამუკა არემიძის ზუსტ განსაზღვრებას — სიმბიოზს აღნიშნავს). დარწმუნებული ვარ, სხვა სახელმწიფოებში, ამერიკის ელჩებიდან არავინ არ იქნება იმდენჯერ ნამყოფი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ოჯახში და აგარაკზე, რამდენჯერაც საქართველოში მყოფი ელჩი. მოკლედ, ბატონი ნორლანდი ისე იქცევა, როგორც საკუთარ სახლში, იგი საქმეებსაც გვირჩევს, ჭკუა-

საც გვარიგებს და, რაღა თქმა უნდა, კადრების შერჩევაშიც გვეხმარება. და ეს, ამერიკის ელჩთან „მორბენალი“ ხალხი კი უსირცხვილოდ ლაპარაკობს: ადრე, რუსეთის უღელქვეშ ყველაფერს კრემლის ვუთანხმებდით, მის გარეშე ნაბიჯს ვერ ვდგამდითო. ასეც იყო, მაგრამ კრემლთან, ძირითადად, ისეთი პროექტები თანხმდებოდა, რომლებიც სწორედ კრემლს უნდა დაეფინანსებინა დიდნილად, თუ მთლიანად არა; ხოლო კრემლის წარმომადგენელთან საქართველოში, ანუ ცკ-ს მეორე მდივანთან, ეროვნებით რუს კაცთან, თითქმის, არავინ არ დადიოდა.

სამწუხაროდ, ჩვენს მოსახლეობას (და არა მარტო ჩვენსას!) ისე აქვს ტვინი გამორეცხილი ყოველდღიური ცრუ ინფორმაციით, რომ იგი კადაფის, ჩავესის და ლუკაშენკოს დიქტატორობასთან ერთად სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებასაც იჯერებს, 2001 წლის 11 სექტემბერს პენტაგონზე „დაჯახებული“ თვითმფრინავის უკვალოდ(!) აორთქლებასაც და ორი ცათამბჯენის დანგრევას მიზეზადაც(!) თვითმფრინავების დაჯახებას და გაჩენილ ხანძარს თვლის (აბა, თავად დაჯახება და დანგრევა ხომ ჩვენი თვალით ვნახეთ ყველამ). ცათამბჯენებზე დაჯახება კი ვნახეთ, მაგრამ აი, პენტაგონზე დაჯახება კი — არავის არ უნახავს! პენტაგონის პერიმეტრზე განთავსებულმა 100-მდე(!) ვიდეოთვალმაც კი ვერ დააფიქსირა თვითმფრინავის პიკირება, და ვერც თვითმფრინავის ნამსხვრევები აღმოაჩინეს იქ ოპერატიულად მისულმა ფოტორეპორტიორებმა, ყველაფერი ისე გაქრა, როგორც კოპერფილდის ფოკუსებში!

ამის შემდეგ, ამ ბრმად დამჯერი კატეგორიის ხალხმა, ინსტიტუტული „ფერად-ფერადი რეგულაციები“ და „არაბული გაზაფხულები“, „ნატოს“ მიერ გაჩაღებული ომები და მათში ჩვენი სამხედროების მონაწილეობა, დემოკრატიის და სამართლიანობის დასამყარებელ სამშობლო ომერაცეობად და სამშობლო-საქართველოს დაცვადაც რომ აღიქვას, რაღა გასაკვირია მოსახლეობის დიდ ნაწილს დღესაც იმის სჯერა, რომ ამერიკა-ვერობა სულ საქართველოს პრობლემებზე ფიქრობს — სამართლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკის აღორძინებაზე და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე. ვინაიდან ძალიან ბევრი ასე ფიქრობს, ამიტომ ისინი, პოტომაკის ნაპირზე დანერგილ სცენარში აქტიურად მონაწილეობენ, ოღონდ, სტატისტიკის(!) როლში, დამგმელი რეჟისორები ამერიკის ელჩებია. და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ერთს წიაღიდან (და არა — „თავისუფლების ინსტიტუტის“) შობილი მამულიშვილები არ დანერენ ქართულ სცენარს და რეჟისორობასაც არ ითავებენ. მაგრამ ამას პატრიოტიზმთან, ვაჟკაცობასთან და დიპლომატიის ცოდნასთან ერთად, შესაბამისი ძალა(!) სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, არასოდეს არ გვექნება საკმარისი იმისათვის, რომ სხვათა უკითხავად, ჩვენს ნებაზე ვმართოთ ქვეყანა, ამის საშუალებას, უბრალოდ არ მოგცემენ. ამიტომ, უნდა ვიმოქმედოთ 200-წლოვანი გამოცდილებიდან და, განსაკუთრებით, ბოლო 10-წლიანი მწარე გაკვეთილებიდან გამომდინარე, პრინციპით — „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა...“, ანუ პირდაპირ თუ ვიტყვი, იმის გათვალისწინებით, თუ რა მივიღეთ, რა შევინარჩუნებთ და რა დავკარგებთ, ანუ, საერთო უკამში, რას მივაღწევთ რუსეთის ხელში „დამონებულიებმა“, და რას — რუსეთის „მონობისგან განთავისუფლებულებმა“ ამერიკის ხელში ამის გაუთვალისწინებლად, არა მარტო სამუდამოდ დაკარგავთ უკვე იურიდიულად დაკარგულს და ახალ-ახალ თავსატეხსაც გავიჩნთ საქართველოს სხვა რეგიონებში, არა მარტო დავიცვებით ქართული სულისგან და გადავჯიშ-გადავშენდებით, არამედ ისე გავიჭყლიტებით შუაში ორ სახელმწიფოს შორის, ეკონომიკურადაც და ფიზიკურადაც, რომ ჩვენი მრავალათასწლოვანი ყოფნა დედამიწაზე მხოლოდ ისტორიის ფურცლებს შემორჩება!

ჩვენი სამშობლოს ბედუკუდმართობით შეწუხებული (განსაკუთრებით, ბოლო 20 წელი) ყოველი მკითხველი, ჩემი არ იყოს, მსგავს წერილებში ერთ კითხვაზე ეძებს პასუხს — რას გვთავაზობს ამერიკი, გვეშველება რამე? ასარჩევ კურსზე, ვფიქრობ, გარკვევით ვთქვი ზემოთ, „გვეშველება“ რაც შეეხება კი, დავაზუსტებ: **სანამ ამერიკის ელჩი იმ წესებით იმოქმედებს, როგორცაა ჩემს ბავშვობაში კოჭის თამაშის დროს ვიფიქრებდით და, რომელსაც „დომა, კაკ სოჩუ“ ჰქვია, სანამ ხელისუფლებას მრჩევლებად „ეკონომიკური მეკლელები“ ეყოლება, რომლებიც მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის „დახმარების“ პოლიტიკას ატარებენ საქართველოში, სანამ წლების წინ პერსონა ნონ გრატად გამოსაცხადებელი ნავარო თავის „ენ-დი-აის“ კვლევებს გვატენის, სანამ „ნატოს“ წამოწეხულ უსამართლო ომებში და სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობას „ძალიან სასიხარულო გადაწყვეტილებად“ ჩათვლის „ნაც-ქოცების“ ხელისუფლებას, სანამ პრემიერი „ნაცმოძრაობაზე“ იტყვის, რომ იგი ვერასოდეს(!) დაბრუნდება ხელისუფლებაში და ასეთ დამნაშავე პარტიას მაინც ვერ გაგასამართლებთ, არა მგონია, ახალი პრეზიდენტის ან ახალი პარლამენტის არჩევამ ძირეულად შეცვალოს ჩვენი მდგომარეობა!**

იაკოვ ლეჟავა.
12 ოქტომბერი, 2013

მკიფე ეკოლოგიურ ვითარებას პატრიარქის მიერ გახსნილი ფონდი მოაზარებს

პატიოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, საქართველოს გამწვანების ფონდი შეიქმნება, სადაც პირველ შენაძინს, შესანიშნავი სახით, 50 000 დოლარს, უწმინდესი შეიტანს, — ამის შესახებ გუშინ, საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე ილია მეორემ განაცხადა.

შეხვედრა საქართველოში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ტყე-პარკების შექმნას, მათ მოვლასა და განვითარების საკითხებს ეხებოდა. პატრიარქს ამ მიზნით ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე და განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე სტუმრობდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტარები, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების, თბილისის მერიის, გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. შეკრებილებს პატრიარქმა შესთავაზა, მკიფე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო შეიქმნას საქართველოს გამწვანების ფონდი, რომელსაც ეყოლება თავმჯ-

დომარე, მოადგილეები და მდივანი. პატრიარქმა საზოგადოებას ფონდის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება შესთავაზა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფონდს თავად პატრიარქი უხელმძღვანელებს. ფონდის თავმჯდომარის მოადგილეობაზე სურვილი შეხვედრაზე მყოფმა მინისტრებმა გამოთქვეს.

პატრიარქის განმარტებით, ის ძალიან დაკავებულია და საქართველოს მდივანი ისეთი პიროვნება იყოს, რომელიც გამწვანების საკითხებით ადამიანებს დაინტერესებს და აქტიურად იქნება ჩართული ამ პროცესებში. ფონდის მდივნის კანდიდატურას ერთ კვირაში დაასახელებენ. შეხვედრაზე ითქვა, რომ უნდა განისაზღვროს ტერიტორიები, სადაც ხეების დარგვა, მათი წვეთოვანი სისტემით მოწვევა და მეთვალყურეობა მოხდება. ასევე უნდა მოხდეს ამ მიზნით სანერგებში ნერგების გამოყვანა, დარგვის პროცესში კი მონაწილეობას მიიღებენ მოსახლეობები, რომლებსაც ეყოფელ გახარებულ ერთ სეზე 50 თეთრს გადაუხდინან.

პატრიარქის თქმით, ახლახან საპატრიარქოს 50 000 დოლარი შეწირეს და საპატრიარქო მზად არის, ეს თანხა გამწვანების ფონდში პირველი შესანიშნავი შეიტანოს.

შეხვედრაზე პარლამენტარმა გია გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ გლობალურად, საქართველოში არსებულ ტყეების პრობლემას ეს ფონდი ვერ გადაჭრის. მისი თქმით, საქართველოში „ცნული ნერტილები“ მოვლითა და გამწვანებით უფრო იყვნენ დაკავებული. გაჩეჩილაძის განცხადებით, წელიწადში საქართველოს 6-8 მილიონი კუბური მეტრი ხეა არ ყოფნის და არის ადგილები, სადაც გარეგან ტყეა, შიგნით კი ცარიელი მიწაა. მანვე გამოთქვა სურვილი პატრიარქის და საპატრიარქოს სახელზე თბილისში გაკეთდეს ისეთივე დიდი საზოგადოებრივი პარკი, როგორც არის ნიუ-იორკსა და ბერლინში.

ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ასევე შეხვედრაზე მყოფმა თბილისის მერიის გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ ჩალაძემ. მისი



თქმით, თბილისის ზღვაზე 270 ჰექტარზე ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული დენდროპარკი. ასევე იქ არის ტერიტორიები, რომელიც გამწვანებას საჭიროებს და იგი გამოვიდა ინიციატივით, ამ დენდროპარკს მიხედონ. ჩალაძემ აღნიშნა, რომ თბილისში, ქალაქის სხვა ადგილებში გამწვანების დიდი ზონების შექმნა უკვე შეუძლებელია, რადგან უმეტესობა კერძო საკუთრებაა.

ინტერპრესი

განუკითხაობა



ნაციონალიზმის ბანაკში დაკომპლექტებული დედაქალაქის მერია, უფროსი კოლეგებისა და თანაგუნდელებისაგან განსხვავებით, ხდება, რომ მათი პარტიკული მოტივები ვერც კარს მომდგარ საპრეზიდენტო და ვერც მომავალ წელს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. ამ მიზეზთა გამო უგულავა და ძმანი მისი ხელაღებით ჰყიდიან თბილისში დარჩენილ სახელმწიფო ქონებას. მოსახლეობის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს გამწვანებული ტერიტორიების („ქალაქის ფილტვების“) კერძო ბიზნესმენტთა ხელში გადასვლა. მით უმეტეს, რომ მერიასა და ბიზნესმენტებს შორის საზოგადოებისაგან ფარული გარიგებები იდება. უკვე საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ კუს ტბის, საბურთალოს პარკის, წავეისის ტყისა და სხვათა დარად თბილისის მასშტაბით სხვა გამწვანებული ადგილებიცაა გაყიდული. ამის შესახებ საზოგადოება ეტყობა მოგვიანებით გაიგებს, როდესაც ამ ტერიტორიების მფლობელები ხეების გაჩეხვასა და მშენებლობებს დაიწყებენ.

კუს ტბა რიგითი, ხელმოკლე თბილისელებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. წავეისის ტყეს, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის წევრის ალექსი ქოროლიშვილის განცხადებით, ინვესტორი დღესაც ანადგურებს — მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად ტყე იჩეხება.

საბურთალოს პარკში, სადაც ადრე ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო, შენობა დაანგრის თუ არა, დაიწყო ხეების გაჩეხვა. ეს ტერიტორია მერიამ კომპანია „BDPROPERTY“-ზე გაასხვისა. ცოტა ხნის წინათ კი ხეების მასობრივი ჭრაც დაიწყო. მოსახლეობამ, ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საბურთალოს პარკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი თოდუა, პროტესტის შედეგად მერიიდან მიიღო ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ოფიციალური ცნობა ადგილზე 37 ხის მოჭრის ნებართვაზე გაცემული. ჩვენ ეს ცნობაც გადავამოწმეთ. ექსპერტიზამ გასცა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ნებადართული იყო მხოლოდ გადაბერებული და გადაბედილი ხეების მოჭრა. ასეთი ხე კი პარკში მყოფად 4 იყო(?)!

როდესაც მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი კუთხეში მიაციენეს, მან ნაცვებისა თვის მიღებული რიტორიკით სცადა თავის მართლება. მისი თქმით, ყველა ნებართვა კანონის სრული დაცვითაა გაცემული. ეს არ არის ბრალდება, უფრო ვარაუდიაო (კარგი ვარაუდია, 37-დან მხოლოდ 4-ის მოჭრა შეიძლებოდა). რასაკვირვებია, განაგრძობს თავის მართლებას მერიის ჩინოვნიკი, რასასამოვნოა, როდესაც ხე იჭრება, მაგრამ ჩვენ უნდა ვიპოვოთ ოქროს შუალედი, რომ არ დაგვარგათ ქალაქის განვითარების პერსპექტივა და ამავდროულად შევინარჩუნოთ გარემო, ვერაფერს იტყვი — რკინისებური ლოგიკაა.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შიხიაშვილის განმარტებით, ბიზნესმენს პასუხი არ მოეთხოვება, სადავოა იმ ორგანოსთან, ჩინოვნიკთან, ვინც ეს ნებართვა გასცა.

საკრებულოცა და მისი თავმჯდომარეც იზიარებენ ცენტრალური ხელისუფლების და კერძოდ პრემიერის მოსაზრებას კერძო საკუთრების ხელ შეუხებლობაზე. მოკლედ საქმე ასეა: რაც უკვე გასხვისდა, მას რაღა ეშველება. ბარემ დასრულდეს და აღსრულდეს, რაცაა შეთანხმებული და მეტის უფლებას აღარ მივცემთო, — ასკვნიან ექსპერტები.

გადაჩენილი გადარჩენად

წელს-წელს უგულავამ და მისმა გუნდმა თავიანთი მსახვრალი ხელი თბილისის ისტორიულ უბნებს, განსაკუთრებით ძველი თბილისის ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე შენობებსაც დაადო. გაიყიდა ყოფილი მერიის შენობის ნაწილი, ასევე ყოფილი უნივერსიტეტის შენობა, ასევე მრავალი საცხოვრებელი სახლი, რომელნიც მხოლოდ გამაგრებას საჭიროებ-

ვლი მინისტრი მერაბ ჩხენკელი. იგი თვლის, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურისგან ჩამოშორება დაუშვებელია. კულტურის სამინისტრომ უნდა შეათანხმოს და არქიტექტურის სამსახურმა ნებართვა უნდა გასცეს. ექს-მინისტრი ამბობს, რომ ქალაქის ისტორიულ უბნებზე პროექტების განხორციელებაში აუცილებელია არქიტექტორთა აქტიური ჩართულობა. აქ მხოლოდ არქიტექტურა არ არის, განმარტავს ჩხენკელი. სხვა უამრავი საკითხიცაა, რომელთა გაუთვალისწინებლობაც გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოს.

დაკარგულ მსუყე ლუქმას მისტიკა

ამას უმაღლეს გამოცხადება თბილისის მერია. მისი განცხადებით, კულტურის სამინისტროს არ აქვს მშენებლობის ნებართვაზე იმ რაიონების განცხადებების მიღებისა და განხილვათა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური, პრაქტიკული თუ სხვა რესურსების მართვის გამოცდილება. მაგრამ მერიაში იმედოვნებენ, რომ სამინისტრო თავს გაართმევს სამშენებლო პროცესების მართვას და დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარე შენობა-ნაგებობების სამშენებლო განვითარება რეალური პერსპექტივების გარეშე არ დარჩება.

დედაქალაქში კულტურული მემკვიდრეობის განვარდვისა და მათზე სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება ამ დრომდე მხოლოდ მერიას ჰქონდა. ექსკლუზივი უგულავას სააკაშვილმა 2009 წელს უფუქსაშა. კულტურის სამინისტროს ამ კუთხით დედაქალაქში ყველა უფლებები ჩამოერთვა.

უფლებების ერთი ხელის მოსმით ჩამორთმევა უგულავასთვის შოკის მაგვარი აღმოჩნდა. იგი ამბობს, რომ ევროპულ ქვეყნებში ხელისუფლება ცდილობს, რომ ყველა ადგილობრივი დონის საკითხების გადაჭრაში მასქიმაღლურად ჩართოს თვითმმართველობები. მერი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ანტიევროპულს უწოდებს, თუმცა იმედს მაინც არ კარგავს, რომ მის უწყებას მაინც დაუბრუნდება რაღაც უფლებები ისტორიულ უბნებთან და ძეგლებთან მიმართებაში. იგი კანონში ცვლილებების შეტანის მოლოდინშია.

ექსპერტები, სპეციალისტები ერთხმად გამოირცხვენ, რომ მერიას ერთპიროვნული უფლებები აღუდგინონ. აქვე იმასაც დასძენენ, რომ უგულავას პირადად ჰქონდა დაწყებული საკმაოდ სარფიანი (მისთვის) მოლაპარაკებები უცხოელ ინვესტორებთან ძველ თბილისში ფართების გასხვისებასთან დაკავშირებით. ახალი კანონის ძალაში შესვლამ მას მსხვილი ლუქმა გააგდებინა ხელიდან.

ზაზა ბილინიძე

ხელისუფლება გადაჩენილი გადარჩენს სდილობს

დენ და ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენდნენ. ახალმა მეპატრონეებმა შენობა-ნაგებობები ან დაანგრის ან მთლიანად შეუცვალეს ფასადი. ეს განუკითხაობა რომ შეეჩერებინა, ხელისუფლება იძულებული გახდა, საკანონმდებლო დონეზე მოეხდინა ცვლილება, „კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. ამ ცვლილებებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე იმ შენობა-ნაგებობებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მშენებლობის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა, ნაცვლად თბილისის მერიისა, უნდა მიმართონ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. განსახორციელებელი ცვლილებების თანახმად დედაქალაქის ისტორიულ ადგილებში (ძველი თბილისი). ნებისმიერი სახეობის მშენებლობისათვის სავალდებულო გახდა კულტურის სამინისტროს თანხმობა. კანონი ძალაში მიმდინარე წლის 26 სექტემბრიდან შევიდა.

აკაპარტოვაროვანი შუასაბუბი

მიღებულ ცვლილებას ურბანიტა ნაწილი მოწონებით შეხვდა. ლადო ვარდოსანიძეს მიაჩნია, რომ ამით კულტურულ მემკვიდრეობას უფრო მოეცლება, თუმცა აქვს რამდენიმე რეკომენდაცია. — უნდა შენარჩუნდეს კულტურული მემკვიდრეობა და არ დაგაფრთხოთ ინვესტორი. ოქროს საზაია მოსაძებნი. აღბათ დრო გამოაჩენს მის ცენტრისუნარიანობას. ასევე დროთა განმავლობაში კანონში ნებართვების გაცემაზეც მოსალოდნელია ცვლილებები. ურბანიტს, უპირველეს ყოვლისა, ნებართვების ობიექტურად და შეფოვნების გარეშე გაცემა მიაჩნია გადაუდებელ ამოცანად. იგი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ მერიის სპეციალური საბჭო, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა, ხშირად არ იყო ობიექტური.

ცვლილებებისადმი კრიტიკულია მშენებლობისა და ურბანიზაციის ყო-



დედაქალაქი

იმყოფილი, როცა ბევრ ჩვენგანს, თბილისის ერთ-ერთი საუკეთესოდ გამწვანებული ქალაქი გვეგონა. დროის რაღაც მომენტში ეს, შესაძლოა, მართლაც ასე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვა დიდი ქალაქები მოვიწინავენი, მათ შორის, ვთქვათ, მოსკოვი, კიევი, აზრი შემეცვალა. დღესდღეობით „მზის და ვარდების მხარე“ სულაც არ ჰგავს ფლორის სამეფოს, მეტიც — მისი მწვანე სამოსელი წლიდან წლამდე, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის მანძილზე, შავრენის ტყავითი პატარავდება ქალაქის მამების მეცადინეობით. თუ რა მდგომარეობაა თბილისში გამწვანების მხრივ, ამის თაობაზე უამრავი იტყვა და დაინერა, მრავალი ტელე თუ რადიოგადცემა მიეძღვნა. ამდენად, იმას ვიტყვი, რაც რამდენიმე დღის წინათ ვაკის პარკში ამჟამად მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ მასალის მოსამზადებლად მისულმა თბილისის მერიის ეკოლოგისა და გამწვანების სამსახურის მთავარ სპეციალისტს მამუკა ცაბატაძისთვის ვუთხარი. თბილისის გამწვანებაზე საუბრისას ვთქვი, კაცი ერთ ხელზე ჩამოთვლის დედაქალაქში დარჩენილ პარკებს-მეთქი, ბატონი მამუკა თავდაპირველად არ დამეთანხმა, მეტიც, მაგრამ მერე მათი ჩამოთვლა დაიწყო: თავად ვაკის, შემდეგ მთაწმინდის, 9 აპრილის (ყოფილი ალექსანდრეს), მუშტიანი, ვერისა და... ესაა და ესა ამას წინათ ვაკის პარკთან დაკავშირებით საუბრისას, რომელიც წინამდებარე პუბლიკაციის მთავარი თემაა, ცნობილმა არქიტექტორმა გივი გაბუნიაშვილმა საგულისხმო ფაქტის შესახებ მიამბო: თავის დროზე ამიერკავკასიაში რუსეთის მეფის ნაცვალმა თბილისში 28 საზოგადოებრივი ბაღი გააშენებინაო (!), ამასობაში „ჩვენები“ კი რას შერებინაო?



ვაკის პარკის განახლების შედეგობა

საც კვლავ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. დარწმუნებული ვარ, არც ამჟამად ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქების თანდათან სხეპას დაადგება საშველი, რადგან მავანთ იქ ელიტურ საცხოვრებელთა აშენების საკუთარი გეგმები აქვთ...



ნიმე კვირის მანძილზე წინამდებარე პუბლიკაცია ჩემთვის უკვე მესამეა. ერთი მათგანი ტ.ტაბიძის ქუჩის №124-ში მრავალსართულიანი კორპუსის უკანონო მშენებლობასა და ვაკის პარკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 400 კვადრატული მეტრის) მიტაცებას ეხებოდა, მეორეში ვაკის პარკის ტერიტორიის გასხვისებაზე, მოუფლელობასა და უპატრონობაზე იყო ლაპარაკი და აი, ახლა, საკითხს მესამედ ვუბრუნდები. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ საამისოდ მიზეზიც მაქვს და თურა, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

დაახლოებით სამი კვირაა, რაც ვაკის პარკში საკმაოდ მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, რის შესახებ რედაქციაში მეზობლად მცხოვრებლებმა შეგვატყობინეს, ვისთვისაც ვაკის პარკი, ასე ვთქვათ, დასვენების მშობლიური ადგილია. 1946-1981 წლებში ვაკის პარკის გამწვანებას ცნობილი სპეციალისტი გიორგი მრეულიშვილი ხელმძღვანელობდა, რასაც ცენტრალურ შესასვლელში მემორიალური დაფა მოწმობს. მამუკა პარკის ტერიტორია, სადაც მანამდე საგანგებოდ დაშრობილი ჭაობი იყო, ახლანდელზე ლამის ორჯერ დიდი იყო, სადაც თავდაპირველად ფიჭვებთან, ნაძვებთან, ჭადრებთან, კედარებთან, დეკორატიულ ბუჩქნარებთან და ყვავილნარებთან ერთად უამრავი ხეხილი — შინდო, ატამი, ვაშლი, ნუში, ალუბალი და სხვა დარგეს, რასაც უდიდესი მოცულობის მინის სამუშაოების შესრულება დასჭირდა. დროთა განმავლობაში მავანთა მეცადინეობით პარკის ტერიტორიამ კატასტროფულად დაიწყო შემცირება — ირანისა და უკრაინის საელჩოებმა მის ფარგლებში დაიდეს ბინა, რაღაც ნაწილები კერძო მოიჯარეებს გადაეცათ, რომელთა მიერ დაწყებული მშენებლობების დაუანგული რკინის კონსტრუქციები ამჟამად ასე ამახინჯებს იქაურობას, კულტურის ძეგლი ასევე სხვადასხვა ნაგებობებმა — ოფისებმა, რესტორანმა, გოლფის კლუბმა და ა.შ. შეავიწროვა.

და აი, ახლა, ვაკის პარკი ლამის ერთიანად გადათხრილი, რამაც, ბუნებრივია, მეზობლად მცხოვრებთა ყურადღება მიიპყრო და, იმის გამო, რომ სამშენებლო სამუშაოების თაობაზე ხალხს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა, რადგან დაგვიანდა ბანერის დადგმა, სადაც სათანადო ცნობები იქნებოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი, ისინი რამდენიმე უწყებას დაუკავშირდნენ, რომლებიც, მათი აზრით, საქმის კურსში უნდა ყოფილიყვნენ. ამის თაობაზე დანვრილებით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მოქალაქეებმა მეტად საგულისხმო პასუხები მიიღეს.

იხ. 9 გვ.

ნოვლიანტები — 2013

„მათი არაპროტი მნიშვნელოვანი კანონზომიერება დააღბინეს“

მაკროეკონომიკაში ნობელის პრემია 2013 წელს მიენიჭათ აშშ-ში მომუშავე ლარს პიტერ პანსენს, იუჟინ ფამას და რობერტ შილარს. მათთვის შევასწავებთ, რომ ეს დარგი არ ყოფილა ნახსენები ალფრედ ნობელის ანდერძში და შესაბამისი პრემიის დაწესების შესახებ მხოლოდ 1968 წელს გამოცხადდა, შედეგთა ბანკის დაარსების 300 წლისთავზე, სწორედ ამ ბანკის მიერაა დაწესებული. 2006 წლიდან ევროკავშირის ოფიციალურად ეწოდება „შედეგთა ცენტრალური ბანკის პრემია ეკონომიკის მეცნიერებათა დარგში ალფრედ ნობელის სამახსოვროდ“.

ეკონომეტრიკასა და მათემატიკურ სტატისტიკაში. მეთოდის არსი მდგომარეობს განვიხილოთ ბათა და ეკონომეტრ მოდელთა უცნობი პარამეტრების შეფასებაში, რაც კლასიკურ მომენტთა მეთოდის განზოგადებაა. იგი გახლავთ ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1993), ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1999), ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პრემიის ლაურეატი (1998) სწავლებაში შესანიშნავი მიღწევებისათვის. 2006 წელს ეკონომეტრიკაში (კალიფორნიის უნივერსიტეტი) მასწავლებლობდა. 1984 წლიდან ჩიკაგოს უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლის დამსახურებული პროფესორია. ფამა 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია ეკონომიკაში. ცნობილია ინვესტიციების, ფასების ჩამოყალიბების, კორპორატიული ფინანსების დარგებში გამოკვლევებით. ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის წევრია, ასევე ეკონომეტრიული საზოგადოებისა. 2001 წელს ამერიკის ფინანსური აკადემიის წევრადაც აირჩიეს. როჩესტერში და დე პოლის უნივერსიტეტების სამართლის დოქტორია, ლევინის კათოლიკური უნივერსიტეტისა და ტაფტის უნივერსიტეტის საპატრიო დოქტორი. ის რედაქტორი იყო ორი ავტორიტეტული ეკონომიკური გამოცემისა და კონსულტაციური რედაქტორი „ფინანსური ეკონომიკის ჟურნალისა“.

არსებული იელის ფინანსებში საერთაშორისო ცენტრის მეცნიერი თანამშრომელიცაა. 2005 წელს რობერტ შილერი ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, 2006-2007 წლებში — აღმოსავლეთის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად. ის სახელმწიფო ფინანსური ბაზრების, ფინანსური ინოვაციების, ქვეყნითი ეკონომიკის, მაკროეკონომიკის, უძრავი ქონების, სტატისტიკური მეთოდების დარგებში. ზედიზედ ორ წელიწადს, 2009 და 2010 წლებში, შილერი ფურნალ Foreign Policy-ს ვერსიით, შეყვანილი იყო ნამყნავ მსოფლიო მოაზროვნეთა სიაში. 2011-ში ის გახდა 50-დან ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაც გლობალური ფინანსების სფეროში, თანახმად ფინანსური ინფორმაციის Bloomberg მიმწოდებლისა.



რობერტ შილერი, ამერიკელი ეკონომისტი, დეტროიტში (მიჩიგანის შტატი) დაიბადა 1946 წელს. ბაკალავრის ხარისხი მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტში მოიპოვა 1967 წელს და დოქტორის ხარისხი — მასაჩუსეტის უნივერსიტეტში 1972 წელს. 1972-1974 წლებში ეკონომიკის ასისტენტ-პროფესორად მუშაობდა მიწისფარის შტატის უნივერსიტეტში, ეკონომიკის ადიუნტ-პროფესორი იყო პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტში (1974-1980), 1982 წლიდან იელის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორია. ეკონომიკური გამოკვლევების ეროვნული ბიუროსა და იელის მენეჯმენტის სკოლასთან

სამი ახალი ლაურეატი წლების სიგრძეზე შესწავლიდა ფინანსური ბაზრების მუშაობას. ისინი ცდილობდნენ აქტივების — აქტივებისა და ობლიგაციების ფასების მოძრაობის ახსნას, აგრეთვე, იმის გაგებას, თუ რამდენად შეიძლება ასეთი მოძრაობების წინასწარმეტყველება. ნობელის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ი. ფამამ, ლ. პანსენმა და რ. შილერმა დაადგინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომლებიც ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ როგორ და რატომ იცვლება ფასები. პრემია გაიცა „პრაქტიკული შედეგებისა და ემპირიული ანალიზისათვის“.

სამი ახალი ლაურეატი წლების სიგრძეზე შესწავლიდა ფინანსური ბაზრების მუშაობას. ისინი ცდილობდნენ აქტივების — აქტივებისა და ობლიგაციების ფასების მოძრაობის ახსნას, აგრეთვე, იმის გაგებას, თუ რამდენად შეიძლება ასეთი მოძრაობების წინასწარმეტყველება. ნობელის კომიტეტი აღნიშნავს, რომ ი. ფამამ, ლ. პანსენმა და რ. შილერმა დაადგინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომლებიც ხელს უწყობს იმის გაგებას, თუ როგორ და რატომ იცვლება ფასები. პრემია გაიცა „პრაქტიკული შედეგებისა და ემპირიული ანალიზისათვის“.

„სამივე ლაურეატი ფაფორიტი გახლავთ, მათი შრომები ეკონომიკასა და ფინანსებში ფეხდაფეხად სტანდარტულ სახელმძღვანელოში შევიდა, დიდი ხანია, პრემია დამსახურებული ჰქონდათ“ — ეს შეფასება კი სერგეი გურიევის ეკუთვნის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პარიზის პოლიტიკური გამოკვლევების ინსტიტუტის პროფესორს.

...ეკონომიკაში ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონია უკვე 44-ჯერ შედგა. მათში 71 ლაურეატი მონაწილეობდა, რომელთაგან ქალი მხოლოდ ერთი იყო — ელინორ ნოსტრომი აშშ-დან. 17-ჯერ გადაეცა ერთდროულად ორ მეცნიერს, ხუთჯერ ის სამ ეკონომისტს შორის გაიყო, 22 შემთხვევაში კი პრემია ერთს ხვდა... ნათია თაბარაშვილი, თამაზ ებანოიძე



ისტორიის დოქტორი მალსაზ მირიკი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორია, რომელიც წლეულს აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის შარიმანის ინსტიტუტში მკვლევარად იყო მიწვეული. მისი კვლევის საგანი კი გახლდათ მესხიერების პროექტები და რეგიონალური კონფლიქტები. უნივერსიტეტში წაკითხული მისი საჯარო ლექციაც სწორედ თანამედროვეობის ამ აქტუალურ თემას — მესხიერების პროექტებსა და პოსტსაბჭოთა საქართველოს ეთნიკურ კონფლიქტებს ეხებოდა. გათავაზობთ მასთან ინტერვიუს.

— ბატონო მალსაზ, ტერმინი „მესხიერების პოლიტიკა“ ახალ ცნებად შედგება. უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვიხსენებთ მისი არსის შესახებ?

— ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მინდა სხვა დეტალებთან ერთად ჯორჯ ორუელის ფართოდ ცნობილი გამოთქვამი მოვიყვანო მისი წიგნიდან „1984“-ს. „ვინც აკონტროლებს წარსულს, აკონტროლებს მომავალს. ის, ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულს“. ეს სიტყვები კარგად ასახავენ მესხიერების პოლიტიკის არსს და ფუნქციას, რომელიც, უწინარესად, პოლიტიკური მეთოდებით და მექანიზმებით საზოგადოების მიერ წარსულის დამახასიათებლის წარმართვას და, შეიძლება ითქვას, კონტროლს ისახავს მიზნად. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ მესხიერების პოლიტიკაზე, უწინარესად უნდა გვახსოვდეს, რომ აქ საუბარია კოლექტიურ, კონკრეტულ საზოგადოებაში გაზარდებულ მესხიერებაზე. ჩვენ შეიძლება ვისაუბრობოთ მესხიერების პოლიტიკის მრავალ გამოვლინებებზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კონტექსტში, მაგრამ, ამ შემთხვევაში მინდა, ფოკუსირება მოვახდინო ჩვენს თანამედროვე რეალობაზე. კერძოდ კი, ვისაუბრებ გარდამავალი ეპოქებისთვის დამახასიათებელი მესხიერების პოლიტიკის განსაზღვრულ მომენტებზე. მაგალითად, ახალი ისტორიული ერის დასაწყისის ნარატივზე, ისტორიის გადაფასებაზე, წარსულთან მექვიდრობითობის საზღვარზე თუ მასთან ყოველგვარი კავშირის განწყობაზე.

ცივის ომის დამთავრების შემდეგ გაჩნდა განცდა, რომ საბჭოთა კავშირის რღვევა, ეს არის ისტორიის დასასრული, დემოკრატიის საბოლოო ტრიუმფი, კაცობრიობის განვითარების ფინალური ეტაპი. სწორედ დემოკრატია და ღია საზოგადოება არის ნებისმიერი ერისთვის და კულტურისთვის არსებობისა და განვითარების ყველაზე მისაღები ფორმა. თუმცა, ამის საპირისპიროდ ტოტალიტარული სისტემის კოლაფსის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ნაციონალური მოძრაობების ახალი აღზევება და ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ ნიადაგზე გაჩაღებული კონფლიქტების არნახული მასშტაბები. ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი სწორედ მესხიერების პოლიტიკამ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისტორიის გადაფასების ფონზე მიმდინარე მესხიერებათა ომებმა შეასრულეს (და ასრულებენ) განსაკუთრებულ როლი. ეს ძალიან კარგად ჩანს თუნდაც საქართველოს მაგალითზე.

ქართველი საზოგადოება პირობითად მიეკუთვნება იმ ტიპის ერთობებს, სადაც წარსული მანიპულირებას პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არსებობს მოსაზრება, რომ დამოუკიდებლობის ხანგრძლივი გამოცდილების არმქონე საზოგადოებები განსაკუთრებით არიან წარსულის „ქვევით“ დაკავებული და აწმყო, მძიმე მდგომარეობის კომპენსირებას სწორედ „წარსულ დიდებზე“ ტიპობით ახდენენ.

ბოლშევიკური რევოლუციის პირობებში „დავიწყებული“ და „დაკარგული“ ისტორიული მესხიერების დაბრუნება და ზოგადად ისტორიის გადაფასების პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის დროისთვის დაიწყო, მაგრამ მესხიერების პოლიტიკის მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და კლასიკური მხასიათებლებით მაინც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გამოვლინდა, როცა ამ პოლიტიკის გატარებაში სახელმწიფო ინსტიტუტები იყვნენ ჩართული.

სანამ კონკრეტულ მაგალითებზე გადავიდოდე, მინდა, დავაკონკრეტო, თუ რას ვგულისხმობ მესხიერების პოლიტიკის მახასიათებლებში, გამოვლინებებში თუ ფორმებში. სხვადასხვა მეცნიერები ამ ფორმებს თუ საშუალებებს განსვავებულ სახელს არქმევენ, მაგალითად, მესხიერების ადგილები, მესხიერების გადაცემის მედიუმები, მესხიერების ინფრასტრუქტურა კი და ა.შ. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი და მესხიერების კვლევების ერთ-ერთი მამამთავარი პიერ ნორა თვლიდა, როცა ის წერდა მესხიერების ადგილებზე, რომ მის დროს, მე-20 საუკუნის ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, დასავლური საზოგადოება წარსულთან კავშირის განწყვეტის განცდამ მოიცვა (ის საუბრობდა საფრანგეთის მაგალითზე), რადგან გაქრა ტრადიციული ცხოვრების წესი და ის გარემო, სადაც ცოცხალი მესხიერება თაობიდან თაობაში ბუნებრივად გადაიცემოდა. სწორედ ამან წარმოშვა მესხიერების კონკრეტულ ადგილებში, სადაც ის განაგრძობს არსებობას, დაფიქსირების და ლოკალიზების საჭიროება. მესხიერების ადგილები ჩნდება იმიტიზმ, რომ გაქრა რეალური მესხიერების გარემო.

— სადა არსებობს სხვა კონკრეტული მესხიერების ლოკალიზება, შენარჩუნება თუ კვლავწარმოება?

— მონუმენტები, მუზეუმები, არქივები, ბიბლიოთეკები, ისტორიის

სახელმძღვანელოები, ავტობიოგრაფიები, ნაციონალური რიტუალები, დღესასწაულები, პანთეონები, საფლავები, ნაგებობები და ა.შ. ყველაფერი ეს ერთად აღებული შეიძლება განვიხილოთ სწორედ მესხიერების შენახვის ადგილებად, წარსულთან დაბრუნების მექანიზმად თუ კოლექტიური მესხიერების კვლავწარმოებისთვის შექმნილ ინფრასტრუქტურად.

„ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე მოსულმა მთავრობამ მიზნად საბჭოთა წარსულთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტა, ყველა დონეზე მისი მექვიდრობის გადალახვა გამოაცხადა. ოფიციალური თვალსაზრისით, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრების, ევროპაში „დაბრუნებისა“ და ქართველ საზოგადოებაში პოლიტიკურთან ერთად ე.წ. მენტალური რევოლუციის განხორციელების შემთხვევაში. ახალი ისტორიული ნარატივი, რომელშიც რუსეთის (ბოლშევიკური თუ პოსტსაბჭოთა) აგრესიის წინააღმდეგ გამრული ბრძოლის ისტორიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ამ პროექტის ორგანული ნაწილი იყო.

ვარდების რევოლუცია მმართველი ელიტის მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმთავრესი წყაღამყოფი მიზეზი, როგორც „ერის თავიდან დაბადება“ და ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი. რა თქმა უნდა, ეს არ არის საქართველოში მოვლილი პრაქტიკა. პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს შევიცანდნენ იმის დემონსტრირებას, რომ ახალი, წინაპერიოდისგან კარდინალურად განსხვავებული ეპოქა დაიწყო. კალენდარიც კი შევიცანდა იმისათვის, რომ საზოგადოების ყველა დონეზე გამოვადარო ახალი ერის დასაწყისის განცდა. ასე მოხდა რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის თუ გადართობის დროს, როცა ტოტალურად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოების თავიდან დაბადების შეგნება უნდა მოხდეს.

მესხიერების პროექტი და

საქართველოში, რა თქმა უნდა, სხვა მასშტაბებთან, მაგრამ ტიპოლოგიურად მსგავს მოვლენასთან თუ მცდელობებთან გვეკონდა საქმე. რესპუბლიკის მოედანს „ვარდების მოედანი“ დაერქვა, შეიქმნა ოკუპაციის მუზეუმი, გორის ცენტრიდან აიღეს სტალინის ძეგლი; ერთ-ერთი სმაურანიან შეთხვევა იყო ქუთაისში მდებარე მთელი მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების სხოვისადმი მიძღვნილი მემორიალის აფეთქება, რომელიც მერაბ ბერძენიშვილი 1980-იანი წლების დასაწყისში შექმნა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს მემორიალი, როგორც საბჭოთა პერიოდის მესხიერების ადგილი, სპეციალურად შეიქმნა, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ ახალი პარლამენტის შენობის ასაშენებლად, რომელიც პოსტრევოლუციური საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იყო გამოცხადებული. სამაგიეროდ, განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა გმირთა მოედანზე აღმართულ „დიდების მონუმენტს“, როგორც საბჭოთა ოკუპაციის და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა სხოვისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი მთავარი მესხიერების ადგილს. სხოუმის დაცემის დღეს თუ სხვა თარიღების აღსანიშნავად ორგანიზებული ოფიციალური ცერემონიები მსგავსი ტრაგიკული მოვლენების გარშემო სწორედ საზოგადოების მესხიერების მობილიზებას ისახავდა მიზნად; განათლების სისტემა, რა თქმა უნდა, ამ მხრივ თავის საქმეს აკეთებდა. მაგალითად, იყო მცდელობა, შექმნილიყო სახელმძღვანელო რუსეთის 200-წლიანი ოკუპაციის შესახებ; ტარდებოდა ოკუპაციის კვირეულები სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში; შეიქმნა პატრიოტთა ბანაკები, სადაც ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას ისე, რომ წარმოეჩინათ რუსეთთან ბრძოლის გმირული ისტორია; მედია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავის როლს ასრულებდა, იქმნებოდა დოკუმენტური ფილმები და ვიდეორგოლები ამ თემებზე.

— რა მოხდა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ?

— 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შექმნილა რეალობა გამოავლინა, რომ ქართველი საზოგადოება მამდივლად არ არის ასე ერთსულოვანი წარსულის შეფასებაში, როგორც ამას ნაციონალური მორალის ცდომილება წარმოეჩინა. ამასთან დაკავშირებით მინდა, გავიხსენო ნიუ იორკში ნაცნობ ქართველ ემიგრანტთან საუბარი. ერთხელ მან მითხრა, რომ მისთვის ძალიან გაუგებარი და მიუღებელიც კი იყო, რომ ნაციონალების მთავრობა რუსული მუსიკის, მაგალითად, მიხეილ შუფუთინის სიმღერების მოსმენას გეკრძალავდაო. ახლა არ შეუვლავს იმის მტკიცებას, მართალი იყო თუ არა ეს. უბრალოდ, უნდა აღნიშნო, რომ ნიუ იორკში მრავალი წლის განმავლობაში მცხოვრებ ქართველს პირველი, რაც აზრად მოუვიდა, ის იყო, რომ მისთვის საყვარელი რუსული შანსონების მოსმენის აკრძალვა ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში კარგი ტონი არ იყო. რაათუ ვარდების რევოლუციის შემდგომმა ქართულმა რეალობამ, არამედ ისეთმა გლობალურმა ცენტრმა, როგორც ნიუ იორკი, ვერ შეარყია „პომო-სოვიეტიკუსის“ მენტალიტეტი. რა თქმა უნდა, ეს შთაბეჭდილება არ გემუქნებდა არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა მექვიდრობის ფაქტორი კვლავ მნიშვნელოვანია ქართველი პოლიტიკურ და კულტურულ რეალობაში. ჩემი აზრით, თანამედროვე საქართველოში ამის მიმანიშნებელი სხვა, უფრო აშკარა მოვლენებიც ხდება.

ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალიტი შეიძლება იყოს სტალინის ძეგლის გარშემო განვითარებული მოვლენები. ერთი მხრივ, არის სკოლის სახელმძღვანელოები, ზოგადად ოფიციალური ისტორიული ნარატივი, რომლის მიხედვით სტალინი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად არის შეფასებული, როგორც ფიგურა, რომელმაც ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაში მთავარი როლი შეასრულა. მეორე მხრივ, სენტიმენტები მის მიმართ მაინც არ ქრება. მრავალი ქართველისთვის სტალინი კვლავ რჩება სიამაყის წყაროდ. ამიტომაც, გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლის აღების საკითხზე თავის დროზე მწვავე დისკუსია გაჩაღდა. ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სტალინიმ ვერაფერი შექმნა, გარდა ძალადობისა, ამიტომაც ის დემოკრატიული საქართველოში რაიმე სახის მოვლენებს არ იმსახურებს. მეორე ნაწილი თვლიდა, რომ სტალინის ძეგლის აღება საბჭოთა ტოტალიტარიზმის მექვიდრობასთან ან სტალინიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან არაფერი ესაქმნება. პირიქით, ძეგლის აღ-

ბის სურვილი მტკიცეული წარსულის მიჩუმაობას და პასუხისმგებლობის სხვაზე აკიდებას ნიშნავს. ამ პოზიციის დამცველების აზრით, ჩვენ თვალს არ უნდა დავეხუტოთ იმაზე, რომ ბევრი ქართველი ემსახურებოდა საბჭოთა რეჟიმს და აქტიურად უწყობდა ხელს საბჭოთა ოკუპაციის შენარჩუნებას.

— ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაში კვლავ არ არსებობს დამოუკიდებლობის, ასე ვთქვათ, სერიოზული აღქმა?

— ეს და სხვა მსგავსი დისკუსიები მიუთითებს, რომ ქართველ საზოგადოებაში არ არის კონსენსუსი მთავარ საკითხზე: თუ რა ტიპის საზოგადოება გვინდა ვიყოთ — დემოკრატიული თუ პოსტსაბჭოთა, არშემდგარი ქვეყანა. მაგალითად, საკმაოდ ხშირია პოლიტიკოსების მხრიდან იდეოლოგიური პლატფორმისა თუ საგარეო ვექტორთან დაკავშირებით პოზიციის ცვლილებები. ასეთი პოლიტიკური თუ ღირებულებითი ფერისცვალების ძალიან ცოცხალი და მეტყველი მაგალითია ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე. ის ხელისუფლებაში ყოფნის დროს რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ პრინციპული იყო. ყველას ახსოვს, ალბათ, მისი გამოხატული რუსეთის დემაში, სადაც მას საკმაოდ ხისტი და კრიტიკული მოხსენება ჰქონდა რუსეთის კავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ის ოპოზიციაში გადავიდა, შეიცვალა რუსეთთან მისი დამოკიდებულება. გავიხსენოთ, პუტინთან მისი შეხვედრები, რაც მაშინ ლამის შაპის კართან ხლებად შეირაცხა. ამ ვიზიტის დროს მან პუტინთან ერთად მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველების მემორიალის გახსნაში, რომელიც ქუთაისის მონუმენტის აფეთქების საპასუხოდ ააგეს. მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძე ერთ-ერთ ვეგლაზე რადიკალურ პრორუსულ პოლიტიკოსად მოიაზრება, მას, როგორც ჩანს, ასეთი იმიჯი დიდ დისკომფორტს არ უქმნის. ახლა კი ბურჯანაძე საპრეზიდენტო არჩე-

ნებზე ლამის მმართველი კოალიციის კანდიდატის მთავარ კონკურენტად განიხილება.

სიმბოლოურია, აგრეთვე, მეორე კანდიდატის კობა დავითაშვილის განცხადება, რომ ის მზად არის ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო ვერაზის კავშირში შესავალზე თანხმობა განაცხადოს; საკუთრივ პრემიერის ორატორიული განცხადებებიც იწვევს დაბნეულობას. თუნდაც ის, რომ ვერაზის კავშირის შეიძლება ფიქრი, თუ ეს როდესმე საინტერესო გადაება საქართველოსთვის. მე ვფიქრობ, რომ თუ დროზე არ ჩამოვყალიბდით რა გვინდა და ამის მკაფიო დეკლარირება არ მოვახდინეთ, მაშინ ეს „ლოდსემი“ შეიძლება ძალიან მალე დადგეს. ზოგადად, ფაქტია, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური დისკუსია ღიაა ყველა ტიპის, თუნდაც პრორუსული ძალებისთვის. ამაზე სულ მდის საუბარი და, რა თქმა უნდა მხოლოდ ჩემთვის არ არის შესაძლებელი. ეს გარემო აძლევს ადამიანებს იმის თქმის თუ ფიქრის საფუძველს, რომ რუსეთის გაველინის ორიტაში შევდივართ, მინიმუმ რუსეთთან ურთიერთობა ლაგდება. თითქოს ეს განწყობა იქმნება მიზანიმართულიად. მიდლა ლატვიტური, თუ, ხშირ შემთხვევაში, აშკარა პროცესი, თავისებური მოთქვა კოლექტიური განწყობის ფორმირების მიზნით, რათა კარდინალურად შეიცვალოს რუსეთის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. თუ ოქტომბრამდე პრორუსული მხოლოდ მარგინალურ ძალებთან ასოცირებული იყო, ახლა ე.წ. რუსეთთან ურთიერთობის ძალებთან სტრატეგია პოლიტიკური დისკუსიის ერთ-ერთი განსაზღვრელი ელემენტი ხდება. ეს მართლაც გასაოცარია იმ ვითარების ფონზე, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსები აქტიურად ავლენენ მათეულს-ლარტებს. თითქოს აშკარა ფაქტები არარეალური ხდება, ხოლო ერთ დროს ურყევი ფასეულობები ფერმერთალებდა. ამიტომაც, ის ფაქტი, რომ სოციალური ამოდის დიდი ბლადის თავები საქართველოს მასშტაბით, შემთხვევით არ ხდება. ყოველ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია, რომ შემთხვევით ხდება, მიუხედავად დეკლარირებული დასავლური ორიტაციისა.

— მაგრამ მესხიერება ჯიუტი ფერმონია და მასთან ბრძოლაში მხოლოდ სტალინის ძეგლების აღებით ვერაფერს გახდები...

— ვფიქრობ, აუცილებელი იყო საბჭოთა წარსულთან, ყოველგვარი კავშირის განწყვეტის სიმბოლოური აქტი და მისი რიტუალიზება, რათა კოლექტიური მესხიერება იქ და, შესაბამისად, იდენტობაში უფრო ცხადად იყოს გამოვლენილი, თუ რამდენად უფსკრულია სტალინის სამყაროსა და ლიბერალურ ფასეულობებს შორის. თუმცა, ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ მოახერხა „ერის თავიდან დაბადების“ პროექტის განხორციელება, არ ვიცი დროის სიმცირის თუ რევოლუციური ხელისუფლების პოლიტიკური შედეგების გამო. ალბათ, ორივე ფაქტორმა შეასრულა თავისი როლი. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა წარსულთან სიმბოლოური თუ რეალური დისტანცირების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ რაიმე წინსვლაზე. ეს თუ არ მოხდა, მაშინ ყოველთვის იტყვიან სტალინის ძეგლის აღდგენის მომხრე ადამიანები: „რას გვიშავენ, იდგეს, ძეგლია, ის ჩვენი ისტორიაა“ ან „33 წელიწადი ქართველი კაცი კრემლში იჯდა და მხოლოდ აზნაზარებდა“. უნდა გავიზაროთ, რომ სტალინის ძეგლის აღმართვა უბრალოდ ძეგლის დგომას არ ნიშნავს. ეს არის სწორედ სიმბოლოურ-კულტურულ ასპექტში სტალინის, როგორც ისტორიული პერსონაჟის ლეგიტიმაცია. ძეგლი არასოდეს დგას ტყუილად, ის ხშირად უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე ცოცხალი ადამიანები, რადგან საზოგადოების განწყობებს მუდმივად გამოხატავს. სხვა შემთხვევაში, მისი ადგილი მხოლოდ მუზეუმში იქნებოდა.

— დისკუსია ისტორიის მნიშვნელობაზე ყოველთვის ერთ საჯილდო ქვას აწვევს: ისტორიკოსი შემოქმედა თუ ისტორიის არანაყოფიერება ჩაიწერი? როგორ ავიცილოთ ფალსიფიკირება?

— როდესაც კოლექტიური მესხიერებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევხვთ ისტორიოგრაფიის პრობლემასაც, რადგანაც, შეიძლება ითქვას, კოლექტიური მესხიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ისტორიული ტექსტები და სახელმძღვანელოებია. ამაზე მიუთითებენ ცნობილი მკვლევრები. მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი ფაკლეგოფი წერდა, რომ მესხიერება ისტორიით იკვებება; ამერიკელი მეცნიერის ჯეიმს ვერჩის თქმით კი, კოლექტიური მესხიერ-

ბანსჯა

ბა პირველ რიგში, ისტორიული ხასიათის ტექსტების საფუძველზე ვაღივებთ.

რადგან მესხიერების პოლიტიკის კონტექსტში ვსაუბრობთ, მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ ისტორია, უწინარესად, ინტერპრეტაციაა და სწორედ ეს ქმნის პრობლემებს. არასოდეს არ ხდება უბრალოდ წარსულის მოვლენების დაფიქსირება. ფაქტების მშრალი ჩამონათვალე კი, რომელიც თითქოს უტყუარობის ილუზიას ქმნის, კონკრეტულ პოლიტიკურ კონტექსტში იქმნება. მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოებში ის ფაქტები სვდებიან, რომელთა დამახსოვრება საზოგადოებას და მმართველ წრეებს აწვობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარსულის ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებული, ალტერნატიული ისტორიები არ არსებობს. ხშირ შემთხვევაში, ხდება კონკრეტული ფაქტების მიჩქმალვა და, უბრალოდ, უკანა პლანზე გადაწევა, რადგან არსებული კონიუნქტურა ამას მოითხოვს. მინდა, ამახსოვრობოთ ერთი მაგალითი მოვიყვანო: საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით საბჭოთა კავშირი არსებობდა ხალხთა ჰარმონიული თანაცხოვრების საფუძველზე. ოფიციალური საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით არარსებობდა საბჭოთა კავშირში ნებით განევრდნენ, რადგან ისინი რუს „უფროს ძმასთან“ ერთობისაკენ მიისწრაფოდნენ. შესაბამისად, 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება იმ პროცესის ორგანულ ნაწილად მიიჩნეოდა, რომლის დიადი მიზანი კომუნისტების დამკვიდრება იყო. ასეთ პირობებში ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინება ან ავითაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არარსული ხალხების ქვეშარეობის სურვილების სანაირადმოვლად ცხადდებოდა.

— რა ადგილი ეკავა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921)?

— ეს პერიოდი, ფაქტობრივად, მიჩქმალული იყო. თუ მას რამენაირად ეხებოდნენ, ეს ხდებოდა ნეგატიურ კონტექსტში. ფაქტობრივად

პირველი კონფლიქტი

ვად, ეს სამწლიანი პერიოდი აღწერილი იყო საქართველოში დიდ ბოლშევიკურ მოძრაობაში ალიკვიურ გადახვევად და ამოვარდნად, რომელიც ბალე დასრულდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. პირველი რესპუბლიკის მთავრობა დახასიათებული იყო, როგორც რეაქციული, არაპოპულარული, კაპიტულანტური რეჟიმი, რომელმაც დააქცია საქართველოს ეკონომიკა და განაწილა ტრადიციული კავშირები რუსეთთან. საბჭოთა ისტორიოგრაფია პირველ რესპუბლიკას ყალბ სახელმწიფოდ აცხადებდა, რომელიც გერმანელებს ჰქონდათ ოკუპირებული და სადაც სიღარიბე და გაჭირვება მეფობდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში კი კომუნისტური რეჟიმის პირობებში „დავიწყებული“ და „დაკარგული“ ისტორიული მესხიერების დაბრუნება ეროვნული მოძრაობის ტალღაზე მოსული პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახდა. ეს კი, უწინარესად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის წინ ნაშობ-წევას და საბჭოთა მმართველობის დანაშაულებრივი, „ქვეშარეობის“ ხასის ჩვენებას ითვალისწინებდა.

ისტორიკოსების შემოქმედება არ არის მხოლოდ კვლევა კაბინეტში და ბიბლიოთეკებში, მხოლოდ „დამახსოვრების უწყინარი აქტი“. მათ საქმიანობას ძალიან დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე რადგან ისტორიკოსის შრომა დიდწილად სხვების მესხიერების ჩამოყალიბების მცდელობაა. სწორედ ისტორიკოსები არიან „მესხიერების დაარსებები“, თავისებური მსაჯულებები იმისა, თუ რა უნდა ჩაითვალოს დამახსოვრების ღირსად და რა — არა.

ის ისტორია, რომელიც ჩვენ ვიცით, კონკრეტული ნარატივების ესადაგება. ხშირად იტყვიან, ასე წერია ნიგნშიო, მაგრამ ავინყვებთ, ეს ნიგნი ვისი დანერვილია, რა პოლიტიკური ინტერესები დგას მის უკან. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ პოსტსაბჭოთა რეალობისთვის ძალიან ნიშანდობლივი მაგალითები. კერძოდ, 2009 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა შექმნა ე.წ. ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია, რომელიც თავის მიზნად აცხადებდა შეწინააღმდეგებოდა ისტორიის გადაწერის და ფალსიფიკაციების მცდელობებს. საუბარია მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიის თავიდან გააზრებაზე და მისი მნიშვნელობის გადაფასებაზე რომელიც ოფიციალური მოსკოვის თანახმად ხშირად წარმოუდგენელ ტვიკიების აყენებს ადამიანებს, რომელთა ოჯახის წევრები სამამულო ომში დაიღუპნენ. იგულისხმება, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მაგალითად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და უკრაინაში ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის როლის განსხვავებული წარმოჩენა. იმ ჯარისკაცების დადებითად და გამირად და წარმოსახვა, რომლებიც მამინ წითელი არმიას ებრძოდნენ. ეს კი, მედვედევის თანახმად, ისტორიული ქვეშარეობის დამახინჯებას ნიშნავდა.

საინტერესოა, რომ საქართველოშიც პრეზიდენტის ინიციატივით, 2010 წლის 9 აპრილს შეიქმნა ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია, რომელსაც, ამ შემთხვევაში, უნდა შეექმნა ანგარიში საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიანი პოლიტიკასა და მის შედეგებზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურად მიიჩნეოდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. რა თქმა უნდა, ისე არ მინდა გამოვიდეს, რომ ისტორია მხოლოდ პოლიტიკური დაკვეთის ნაყოფია. არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ დასკვნები გარკვეული კრიტერიუმების და მეთოდოლოგიის საფუძველზე ააგონ და არა კარის ისტორიკოსის პოზიციიდან. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ოფიციალური პოზიცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისტორიის წერის მანერას.

— რა როლი შეასრულა წარსულმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის განვითარებაში მოვლენებში? რა მემკვიდრეობა სდება მესხიერების აქტუალიზება (ფსიქოლოგიური საკითხების გარდა) და რა როლი აქვს მას? XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთში „კონფლიქტური მესხიერების“ რა მაგალითები არსებობს?

— ცხადია, რომ წარსულის გამოყენების და კოლექტიური მესხიერების პრობლემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური წრის წარმომადგენლებისთვის, არამედ იგი ყოველდღიური ყოფისა და პოლიტიკური ცხოვრების ორგანულ ნაწილად მოიაზრება. ამ გაგებით

შეიძლება ითქვას, რომ მესხიერების პოლიტიკამ და ისტორიული წარსულით მანაპულირება ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ქართულ-აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის წარმოშობასა და ესკალაციაში, რადგან მისი მემკვიდრეობა ასაბუთებდნენ დაპირისპირებული მხარეები საკუთარ ტერიტორიულ თუ სხვა სახის პოლიტიკურ პრეტენზიებს. ამ კონფლიქტებს ე.წ. „ისტორიათა ომი“ უძღვოდა წინ, რომელმაც თავი მე-20 საუკუნის დასაწყისში იზიანა, ინტენსიური ხასიათი 1980-90-იან წლებში მიიღო და დღემდე გრძელდება. მაგალითად, აფხაზეთის ისტორიის ქართული და აფხაზეთური ვერსიები ერთმანეთისგან იმდენადა დაცილებული, რომ „ისტორიათა ომი“ მოგვიანებით რეალურ სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

ქართული ისტორიოგრაფია და, შესაბამისად, საზოგადოებაც აფხაზეთს ძირძველ ქართულ კუთხედ განიხილავს. აფხაზეთი ეთნიკური უმცირესობა პომოგენური ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად, ან, ზოგ შემთხვევაში, ქართველურ ტომადაც კი ცხადდება, რომლის გაუცხოება, რეალურად, რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შედეგად მოხდა. ამის საპირისპიროდ, აფხაზეთი პოზიციის თანახმად, აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი; ქართველი ისტორიკოსები წარსულის გაყალბების გზით ცდილობენ წაართვან აფხაზეთს ისტორიული მესხიერება; აფხაზეთის ქართველები კოლონიური პოლიტიკის შედეგად ჩასახლებული უცხო ელემენტები არიან. ამ კონტექსტში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ქართველებისაგან აფხაზეთის ტერიტორიის განმეორის ისტორიული სამართლიანობის აღდგენად აფხაზეთს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ისტორიათა ომში“ ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოქტონობის, ანუ პირველმოსახლეობის საკითხს. კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლეობის სტატუსისთვის

ბრძოლა მასზე ლეგიტიმური უფლებების ქონის ტოლფასად აღიქმება. მაგალითად, აფხაზეთი ავტორების მიხედვით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველთვის აფხაზეთი ცხოვრობდნენ. ხოლო ქართველები გვიან მოვიდნენ და თანდათანობით მოახდინეს აფხაზეთის დიდი ნაწილის ასიმილაცია. ქართველი ისტორიკოსები კი, თავის მხრივ, დარწმუნებულები არიან, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა ავტოქტონობა ეჭვს არ იწვევს. საერთოდ, ქართული ისტორიოგრაფიაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოქტონობის საკითხთან დაკავშირებით ორი დამოკიდებულება იკვეთება: პირველი პოზიციის მიხედვით, აფხაზეთშიც და ქართველებიც ავტოქტონები არიან. ქართველი ისტორიკოსების ნაწილი აღიარებს, რომ აფხაზეთის წინაპრები უკვე მეორე საუკუნეში გამოჩნდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ პირველმოსახლის სტატუსს მაინც ქართველებს აძლევენ. მეორე, უფრო რადიკალური დამოკიდებულების თანახმად კი, მერვე საუკუნეში, როცა აფხაზეთის სამეფო შეიქმნა, აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. დღევანდელი აფხაზეთის წინაპრები კი მე-17 საუკუნეში გამოჩნდნენ. აქ მინდა, კიდევ ერთ საინტერესო გარემოებას გავუსვა ხაზი, კერძოდ, არა მარტო ტერიტორიაზე არის ხოლმე პრეტენზია, არამედ კონკრეტულ ისტორიულ ფიგურაზეც. მაგალითად, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისთვის დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე აფხაზი მეფეები იყვნენ. შესაბამისად, რაც ქართველებისთვის „ოქროს ხანაა“, აფხაზი ისტორიკოსებისთვის აფხაზეთის ისტორიის დიდების ეპოქაა.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობდა ქართულ-ოსურ ისტორიათა ომის შემთხვევაშიც. ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ოსებზე და ქართველების ავტოქტონობის პრობლემასთან დაკავშირებით ქართული და ოსური პოზიცია აბსოლუტურად შეუსაბამოა ერთმანეთთან. **ქართული პოზიციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ოსური დასახლებები მე-13 საუკუნეში ჩნდება, როცა ოსები იძულებული იყვნენ, გამოეცეოდნენ თათარ-ზინღოლებს. მაგრამ შემდეგში ისინი გიორგი V ბრწყინვალემ (1286-1346) განდევნა. მსხვილი ოსური დასახლებები კი საქართველოს ჩრდილოეთით მე-17-18 სს ჩნდება. მხოლოდ მე-19 საუკუნის შუახანებიდან ფიქსირდება მათი მასობრივი გადმოსახლება და თანდათანობით ქართლის დაბლობშიც გამოჩენა.**

ოსური შეხედულების მიხედვით, მათი წინაპრების ამიერკავკასიაში ყოფნის ისტორია გაცილებით ძველია. რაც მთავარია, ქართველები გვიან მოსულელებად განიხილებიან. მაგალითად, ოსი ავტორების თანახმად, ოსები ათასწლეულების განმავლობაში არაერთხელ გადასახლებულან ჩრდილოეთ საქართველოში. დაახლოებით ჩვ.წ. აღმდეგ 1 ათასწლეულშიც კი.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქართველ და ოს ისტორიკოსებს შორის ერთ-ერთი მთავარი საკამათო თემა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხია. **ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, ოსები ავტონომია ბოლშევიკებმა შეუქმნეს ისტორიული შიდა ქართლის ადგილას და ამით დაუფასეს ის სამხრეთი, რაც მათ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის დროს გასწევი. არ არსებობს ამ ავტონომიური ოლქის შექმნის რაიმე რეალური საფუძველი. ქართველი ავტორები, აგრეთვე, განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ხელოვნურობასაც და ამ ტერმინის მხოლოდ შიდა ქართლის ან სამაჩაბლოს სახელით მოხსენიებას. ოსი ავტორების და პოლიტიკოსების მტკიცებით კი სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად ერთიანი ოსეთის ნაწილია და აუცილებელია ხელოვნურად განდგენილი ხალხის გაერთიანება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. აქ, რა თქმა უნდა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ერთ სუბიექტად ყოფნა იგულისხმება.**

კიდევ ერთხელ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს რეალური პოლიტიკაზე ისტორიის განსხვავებული აღქმა, შეიძლება გავიხსენოთ აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ რამდენჯერმე პრეტენზიის გამოხატვა ყაზბეგზე და დარიალის ხეობაზე იმ „არგუმენტებით“, რომ ეს ტერიტორია ისტორიულად ოსეთს ეკუთვნის.

— როცა სამოქალაქო ომის შესახებ ვსაუბრობთ, უბრალოდ პოსტტრავმულ სტრესის დარღვევის არსებობა აღინიშნოს. ასევე მნიშვნელოვანია

ნია, ვიცოდეთ, თუ რა იყო ამ კონფლიქტების მემორიკური მდგენელი და მასში რუსეთის როლის წილი.

კოლექტიური ტრავმის ფენომენი თანამედროვე ქართულ რეალობაში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის საკითხს უკავშირდება. **რუსეთის, როგორც ისტორიული აგრესორისა და ოკუპანტის სახე, ქართული იდენტობის რიტორიკისა და პოლიტიკური პროპაგანდის ცენტრალური კომპონენტია.** 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ეს ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ეს განსაკუთრებით ვლინდება იმ ოფიციალურ მცდელობებში, რომლებიც საერთო მტკივნეული მოვლენების გარშემო ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციას ისახავს მიზნად. ამ მიმართულებით მესხიერების პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია, როგორც აღვნიშნე, მესხიერების ადგილების (მემორიალები, მუზეუმები და ა.შ.) შექმნა, რომლებიც მუდმივად გაახსენებენ ქართველ საზოგადოებას რუსეთის მიერ საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერადად განხორციელებულ აგრესიას.

მაგალითად, გმირთა მოედანზე აღმართული „დიდების მონუმენტი“ საბჭოთა ოკუპაციის და პოსტსაბჭოთა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლთა სსოვნისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი მთავარი მესხიერების ადგილია. მისი გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე პრეზიდენტმა ახსენა, რომ ამ მონუმენტზე ოქროს ასოებით უნდა იყოს გამოხატული სამშობლოსთვის დაცემულ გმირთა გვარები და სახელები. ასევე შეიძლება დავასახელოთ ეროვნული მუზეუმის ბაზაზე არსებული საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, სადაც გამოფენილია დოკუმენტები, რომლებიც საქართველოში საბჭოთა მმართველობის (1921-1991) დროს რეპრესირებულების და რეჟიმის ათასობით მსხვერპლთა ისტორიას ასახავს. ექსპოზიცია მოიცავს საარქივო დოკუმენტებს, გაზეთებს, ფოტო და ვიდეომასალას, პირად საქმეებს საბჭოთა პერიოდის ციხეებიდან და ა.შ. აქცენტი კეთდება კომუნისტური რეჟიმის სისხლიანი ბუნების წარმოჩენაზე. მაგალითად, ექსპოზიტებს შორის არის ვაგონი, სადაც ბოლშევიკებმა 1924 წლის 30 აგვისტოს ანტიბოლშევიკური აჯანყების მონაწილეები გამოამწყვდიეს და დახვრიტეს. მას ნატყვიარები ცხადდა ემჩნევა და კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული ბრძოლის სურათის ყველაზე ექსპრესიული და შოკიანე მდგომარეობით წარმოჩენა. მუზეუმის ექსპონატებს შორის არის, აგრეთვე, საბჭოთა უშიშროების ციხეების რკინის კარები. მათი დათვალიერების შემდეგ მანველმა ცხადდა უნდა წარმოიდგინოს საბჭოთა რეპრესიების და უდანაშაულო ადამიანების საშინელი წამებების სურათი.

ცალკე აღსანიშნავია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის მესხიერების საკითხი, რომელიც სწორედ ტრავმული გამოცდილებით გამოირჩევა. დევნილების მესხიერებაშიც ცენტრალური კომპონენტი რუსეთის ფაქტორია. შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ გამოცემულ „მესხიერების ნიგნებში“, სადაც ასახულია ომში დაღუპული ჯარისკაცების ბიოგრაფიები; დევნილებში მემუარებში, პერსონალურ ისტორიებში თუ ისტორიულ გამოკვლევებში ერთი და იგივე ნარატივი არის განმსაზღვრელი, რომლის თანახმად ომის წინარე პერიოდი ხასიათდება აფხაზეთთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით. მაგრამ, სწორედ რუსეთის აქტიური ხელშეწყობით მოხდა კონფლიქტის ესკალაცია და ეთნიკური წმენდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

— რამდენად უნივერსალურია მესხიერების ეს მექანიზმები?

— მესხიერების პოლიტიკის სტრატეგიები და მექანიზმები გარკვეულწილად უნივერსალურია და სხვადასხვა საზოგადოებებში შეიძლება მსგავსი მაგალითების შეხვედრით. მე უკვე ვისაუბრე რუსეთის, ბალტიისპირეთის თუ უკრაინის შემთხვევებზე, მაგრამ, საქართველოს მსგავს რეალობაში უფრო ისეთი ქვეყნები იმყოფებიან, სადაც, ასევე, დგას ეთნიკური კონფლიქტების პრობლემა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. სომხური და აზერბაიჯანული მხარეები სწორედ ისტორიაში ეძებენ არგუმენტებს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. აზერბაიჯანი ამ რეგიონის მის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, სომხეთი კი ისტორიული დიდი სომხეთის ერთ-ერთ მხარედ, რომელიც აზერბაიჯანელებმა მიითვისეს. მესხიერების პოლიტიკისა და ტერიტორიული კონფლიქტების კარგი მაგალითია, აგრეთვე, ბალკანეთის რეგიონი, სადაც სისხლიანი კონფლიქტები რამდენიმე ადგილას იყო გაჩაღებული. იქაც ერთმანეთს დაპირისპირებული სერბები, ალბანელები, ხორვატები, ბოსნიელები და ა.შ. ისტორიის წარსულს იყენებდნენ ტერიტორიული პრეტენზიების დასახაბუთებლად.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული საზოგადოება საკუთარი თავისებურებებით გამოირჩევა. ზოგან უფრო მეტად არიან დანიტერესებული წარსულით, სხვანაირად — ნაკლებად. მაგალითად, როგორც იგივე ბერკი აღნიშნავს, ინგლისელების მესხიერება, ირლანდიელებისა და პოლონელებისაგან განსხვავებით, მოკლეა. ირლანდიის სამხრეთში გუშინდელ დღესათვის ახსოვთ, თუ როგორ შექმნენ მათ ინგლისელები კრომველის დროს. ამისგან განსხვავებით, მოქრეთულ შტატებში, როგორც პლურალური მესხიერებისა და განსხვავებული ტრადიციების ქვეყანაში, ისტორიოგრაფია უფრო პრაგმატულია. მაგალითად, სამოქალაქო ომის სხვადასხვა ინტერპრეტაცია ამერიკული საზოგადოების ერთიანობას საფრთხეს არ უქმნის. ამათ იმის თქმა მინდა, რომ წარსულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, პირველ რიგში, დამოუკიდებლობის არმქონე ან კოლონიური წარსულის მქონე საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი. ქართველები და აფხაზეთიც, პირობითად, შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ეთნოსებს, რომლებიც მძაფრად განიცდიან წარსულს, რაც სწორედ იმით არის განპირობებული, რომ დიდი ხნის განმავლობაში იმპერიის ნაწილი ვიყავით და შეზღუდული პოლიტიკური სტატუსი გვქონდა.

— ზოგადად ეთნოსებზე საუბრისას ახსენებენ ტერმინს „მემორიკური ერთობა“. რამდენად აქვს მას საკვანძო მნიშვნელობა და რა მავრთობაშია კრიტიკულობა მისთვის ადგილი?

— ზოგადად, მემორიკა იმ ნებისს და ხერხების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის დამახსოვრებას. მემორიკური ერთობად შეიძლება ნებისმიერი ტიპის ერთობა განვიხილოთ, დაწყებული სოციალური ჯგუფიდან, ნაციის დამთავრებული. ამ შემთხვევაში ხაზს ვუსვამთ, მაგალითად, ეთნიკურ ჯგუფში მიღებული დამახსოვრების სტრატეგიებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ჯგუფის კოლექტიური მესხიერების ფორმირებას. ეთნიკური ჯგუფი სწორედ იმით არის მემორიკური ერთობა, რომ ის ამ სტრატეგიების მიხედვით წარსულს იმახსოვრებს.

იან მარკვილაძე, 602-07841, 608

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

27 ოქტომბერს პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებაში პოლიტიკური ტემპერატურა გაზარდა, როდესაც განაცხადა სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის მიხედვით სააკაშვილის შესახებ. ახალი პრეზიდენტის არჩევნის შემდეგ წინას უკვე აღარ ექნება იმუნუტეტი და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებული იქნება გამოცხადდეს გამომძიებლებთან.

სააკაშვილს პროკურატურაში გამოძახებენ უწინასწარმეტყველებად

საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთავარმა მხარდამხმარებელმა პრეზიდენტის იმუნუტეტის დაკარგვის შესახებ განაცხადა

სააკაშვილს უწინასწარმეტყველებად გამოძახებენ

საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთავარმა მხარდამხმარებელმა პრეზიდენტის იმუნუტეტის დაკარგვის შესახებ განაცხადა

მანვე აღნიშნა, რომ აჩქარება საჭირო არ არის. მისი სიტყვებით, „წინაპირობები ამისთვის ჯერჯერობით არ არსებობს“.

საქართველოს მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პეტრე მამრამაძემ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „შემოსული სიგნალები შესაძლო სისხლის სამართლის დევენის შესახებ შეიძლება გახდეს სააკაშვილის ქვეყნიდან გაქცევის საბაბი“.

— სააკაშვილს შეუძლია მოითხოვოს თავშესაფარი უცხოეთში, როგორც პოლიტიკურად დევნილმა, და ასეთ ნიადაგს იგი ამჟამად, ცხადია, ეძებს, — თქვა ექსპერტმა, რომელიც წარსულში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათავეში ედგა პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციას.

ევროპარლამენტი 23 ოქტომბერს პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ევროპის სახალხო პარტიიდან მისი პარტნიორების ინიციატივით განიხილავს რეზოლუციის პროექტს საქართველოში პოლიტიკური დევნის შესახებ. კერძოდ, უკვე ხუთი თვის განმავლობაში პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის ივანიშვილის საქმესთან დაკავშირებითაც.

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ „სახალხოების“ ინიციატივა, როგორც ჩანს, ვერ გავა: დასავლეთში მუდმივად აცნობიერებენ „მიზანდასახულ სიცრუეს“, რომელიც გაიტანეს ქვეყნის გარეთ საქართველოს ყოფილმა ხელმძღვანელებმა. ამასთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა ხელოვნური უნდა პარალელს, რომელიც გაჰყავთ იულია ტიმოშენკოს საქმესა და მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასთან“ დაპირისპირებას შორის. ივანიშვილმა თქვა, რომ, თუ იტალიაში გამოვლენილი პრეზიდენტის სიღვივო ბერლუსკონის, საფრანგეთში დაკითხვებზე იხსენებენ ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, მაშინ სიტუაცია საქართველოში არ შეიძლება ავხსნათ, როგორც პოლიტიკური დევნა.



პერტმა, რომელიც წარსულში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათავეში ედგა პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციას.

მაგრამ მნიშვნელოვანია, მისი აზრით, სხვა რამ. „ნაციონალების“ პარტნიორებმა ევროპის სახალხო პარტიიდან შეიძლება ჩაშალონ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ევროკავშირისა და საქართველოს ასოციაციის შესახებ, რომელიც პარაფირებული უნდა იყოს ნოემბერში ვილინუსში „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტზე. ამას გარდა, სააკაშვილმა შეინარჩუნა კარგი კონტაქტები მთელ რიგ ამერიკელ კონგრესმენებთან და სენატორებთან, რომლებიც ბოლომდე დაიცავენ მას. ესე იგი, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს გაძვრეს ნემსის ყუნწში. კერძოდ, კი — წამოაყენოს სააკაშვილის წინააღმდეგ სრულიად უტყუარი ბრალდებები.

— ივანიშვილი ნერვიულობს, მისი კოალიციის რეიტინგი ეცემა. შესაძლებელია პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური. და კეთდება კიდევ ასეთი

— სააკაშვილის მიმართ არის შეკითხვები, პრეზიდენტის წინააღმდეგ შეიძლება წამოიჭრას სისხლის სამართლის დევნა, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრეზიდენტის იმუნუტეტი უკვე გააჩაღა რამდენიმე თემა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დაიკითხოს სააკაშვილი. ეს არის 2005 წელს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას საიდუმლო დაღუპვა, რასაც ამჟამად იხილავენ ხელახლა. 2011 წელს რუსთაველის პროსპექტზე დემონსტრაციის მკაცრი დარბევა, რის შედეგადაც სამი დემონსტრანტი და პოლიციელი დაიღუპა.

— როგორც მოქალაქეს, მე არ მინდა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის დაკითხვა ან მისი დაპატიმრება. ეს ცუდია სახელმწიფოს იმიჯისთვის. მაგრამ არის პროკურატურა და სასამართლო, და მე მათს საქმეებში არ ვერევი, — თქვა ივანიშვილმა.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კვიციანი უკვე არ გამოიცილა, რომ ზოგიერთ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აღძრა მისმა უწყებამ და ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურმა, არის სააკაშვილის დაკითხვაზე გამოძახების ალბათობა. მაგრამ

განცხადებები მომხრეების მობილიზაციისა და იმით დასაზინებლად, ვინც ჩვენდამი სიმპათიებს განიცდის, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა — „ნაციონალმა“ დავით დარჩიაშვილმა.

— ამას გარდა, ივანიშვილს არ მოსწონს საქართველოში შექმნილი სიტუაცია ევროპარლამენტთან დაკავშირებით. მაგრამ პრეზიდენტის საპასუხო თავდასხმები ამასთან დაკავშირებით მხოლოდ გააუარესებს მის მდგომარეობას.

თბილისში ასევე საუბრობენ, რომ გამომძიებლებს შეიძლება გაუჩნდეთ შეკითხვები სააკაშვილთან, როგორც უმაღლეს მთავარსარდალთან 2008 წელს რუსეთთან ომის გამო. იმ მოვლენებთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრო აწარმოებს თავის საშინაო გარჩევებს. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანი განაცხადა, რომ საბრძოლო მოქმედებათა ვითარებების გამოკვლევა — საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებაა, ვინაიდან არსებობს რამდენიმე მიმართვა შაგის სასამართლოში მაშინ დაზარალებულ მშვიდობიან მოქალაქეებთან დაკავშირებით. შეკითხვებს ომთან დაკავშირებით სააკაშვილმა უკვე უარით უპასუხა, ამ გამოძიებას „ანტისახელმწიფოებრივი“ უწოდებენ, იგი შესაბამისად რუსეთის ინტერესებს.



დადაიჩის ზურბზე



უკრაინაში ვიწინათ რადიაციული რეზერვუარის გამოჩენისა ჩარნობილთან ასალი თბოქაქარსადგურის მუშაობის გამო

დაბა ივანკოვში მთავრდება თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებს ეზინიათ, მოემსახურება „რადიოაქტიური ტყე“. რა მოუვიათ ჩვენს ბავშვებს? ჩვენთვის ეს საშინელებაა! — აღფრთოვნილია ხალხი. მეცნიერები ადასტურებენ, რომ, თუ დაზიანებულ ტყეს ცეცხლი გაუჩნდება, მთელი რადიაცია, რაც ხე-ტყეში დაგროვდა, პაერისკენ წავა.

აშშ-მა გააკროს გაღასა 1,55 მილიონი დოლარის ჯავახანაქანაბი სირიის ქიმიური იარაღის განადგურების სამუშაოებისთვის




ტექნიკის ახლო აღმოსავლეთში გადასატანად ამერიკის შეერთებული შტატებმა გამოიყენა კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების მომსახურება. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნეს, გაეროსთვის გადაცემული ავტომობილების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების მუშაობის საერთო მოცულობის ღირებულება „სირიის ქიმიური იარაღის გასანადგურებლად“ თითქმის 6 მილიონ დოლარს შეადგენს.

ქარი: მთი სირიაში გაბრკალებდა, თუ ასაკს 2014 წელს კვლავ აიკრევენ ასალი ვაღით

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რეაქცია მოჰყვა სირიის პრეზიდენტის ინტერვიუს, რომელიც მან ტელეარს „ალ-მაიადინს“ მისცა. „გულახდილად რომ ვთქვა, ვერანაირ ვითარებას ვერ ვხედავ, რომლებიც ხელს შემიშლიდა არჩევნებში მონაწილეობაზე“, — განაცხადა სირიის პრეზიდენტმა.

დაწერილობითი ხმოვანი სკოლის შესახებ აშკარად სკოლაში: მოსწავლე მათამაგიის მასწავლებელი მოქლა


პოლიცია ჯერჯერობით არ აქვეყნებს ინფორმაციას ტრაგედიის ვითარებათა შესახებ. ცნობილია მხოლოდ, რომ დაღუპული მასწავლებელი მოუწოდებდა მოსწავლეს, რომელმაც კლასში იარაღი შემოიტანა, მიეცა იგი მისთვის და არ შეექმნა საფრთხე თავის თავისა და გარშემომყოფებისთვის. პასუხად მან რამდენიმე ტყვია მიიღო სხეულის სხვადასხვა ნაწილში. მასწავლებელი ავღანეთში მსახურობდა.



დსთ-ს მეთვალყურეები 27 ოქტომბერს პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგში მონაწილეობას არ მიიღებენ

დსთ-ს სამეთვალყურეო მისია მონაწილეობას არ მიიღებს 27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მონიტორინგში. როგორც საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გვაცნობეს, დსთ-დან შესაბამისი მიმართვა არ შემოსულა. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე დამთავრდა ადგილობრივ მეთვალყურეთა რეგისტრაცია პრეზიდენტის არჩევნებზე. როგორც აქ გვაცნობეს, კენჭისყრის პროცესს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 27 ოქტომბერს თვალყურს გაადევნებს 60 ადგილობ-

რივი და 63 საერთაშორისო ორგანიზაცია. საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვში დარეგისტრირებულია: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, ევრო-



საბჭოს საპარლამენტო ასოციაცია, ნატოს საპარლამენტო ასოციაცია, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. პრეზიდენტის არჩევნებს გააშუქებს 84 ადგილობრივი და 35 საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალება. ორ შაბათს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო ბიულეტენების ბეჭდვა და ამომრჩეველთა სიებს საოლქო კომისიებს გადასცემს. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 3537719 კაცს შეადგენს.



თბილისიდან – ხარაგაულამდე...

რს სკოლს მატარებლით მგზავრობას, მით უმეტეს, თუ დილის ექსპრესით მიდიხარ დასავლეთში. მოიხსენიებ გვერდში პლასტმასის ბოთლით ლარინი ლუდი (რა თქმა უნდა, ერთი ბოთლი არ მაქვს მხედველობაში), იყიდე ნემსმიერი ყოველკვირეული სქელტანისანი გაზეთი (უმჯობესია „კვირის პალიტრა“ ან „ასავალ-დასავალი“) და თუ ვინმე ნაცნობი არ გახლავს, რომ ლაპარაკით ტვინი გაგიმურლოს, კითხვა-პასუხითა და ლუდის ყლურწყაყლურწყით ისე ჩასრიალდები ლიხს იქით, ვერც გაიგებ.

ზუსტად ასე მოვიქცევი მეც და პარასკევ დღეს (შაბათ-კვირას „მივარჩევ“ უფროსთან დიდი ხეწნა-მუდარის შემდეგ) გავუყვი გზას სამტრედიისკენ. ჩემს წინ სავარძელში ხმელი, სუფთად გაპარსული ჭაღარაულგაშიანი მოხუცი დამხვდა. სავარძელში მოკალათებული საგულდაგულოდ უკრავდა თავს მაზრობის ჭრელ ტილოს ჩანთას. ის იყო გაზეთი გადავამალე (კითხვას ყოველთვის მოლოდინ ვიწყებ არაბივით), რომ ზემოთმხრული ზრდილობიანი კილოთი ხმამაღალი მისალმება შემომესმა.

– რაღა ხარ ანთიმობა, მეთარე ქალაქი ხომ?

– ო, ოლიფანტეს გაუმარჯოს. აგაშენა ღმერთმა, რა ივლიდა ხარაგაულამდე კაცხმაგაუცემელი. ჩამოვქეცი ავერ.

ოლიფანტემ ჯიბიდან ბილეთი ამოიღო, სათვალე გაიკეთა, კარგად დააკვირდა და შემდეგ სავარძლის კიდეც დაუწყო თვალთვლება.

– დაჯექი ბიჭო, თუ სხვაგანა გაქ ადგილი გოუცვლით ვინცა მარდელს. ვიჭუჭუტოვო ავერ, კაი ხანია არ მინახივხარ.

ოლიფანტე ძველი მეგობრის გვერდით ჩამოჯდა, ბილეთი საგულდაგულოდ გადაინახა გულის ჯიბეში, გულდასმით ათვალიერა ანთიმობი, თითქოს პირველად ხედავსო და მუხლზე იცილი დაჰყრა.

– არ იცვლები, ხო იცი შენ, ისევ ქე ხარ მუხასავით.

– ჯანმრთელობას არ ვუჩივი, მარა ცოტა თვალს დამავლდა. ჩავალ ახლა სოფელში, რაცხა ორი კონა ჩალა შეიძლება მოგხსნივო, იქანა კარალიოკი იქნება, ყურძენი არ მაქვს, ჩახარმა და დაქცია შარშან და წელსაც აღარ მევიკალი თავი მაგის შეწამვლით. მე შენ გეტყვი და იმდენი მოვა, რა ჩავაბარო და ერთი-ორი კაპიკი ევილო... თუ წლევანდელივით გააგრძელა მიძინამ და მომავალ წელს თუ ვიცოცხლე, მე ვიცი, რაფრა მოვევლი.

– მიძინაზე ნუ მეტყვი, მაგიზ გულობიზა ვიყაი თბილისში...

– რაღა, ოლიფანტა, დაგიბარა თუ რაი... – ჩაიხიხითხითა ანთიმობმა.

– დამიბარა კი არა, თბილისში ვარ ჩაწერილი. ჩემი შინა ხო შელიმელოვებს დოვტოროვ და ვიფიქრე ახლა არჩევნებზე უნდა ჩამვიდე და ხო იცი... ავენი კვტრემს ქე აძლევენ ხმის უფლებას და მე ცოცხალი არ ამომწერონ-თქვა და გადამამოწმე ყოლიფანტი. ქე დამხვდა ხმის მისაცემი, რაი ქვია ქვითარია თუ შარათი... – მერე მიძინა რა ჩიქვანია მაი ბარათთან...



ზაემოიქერული

ნიხასარჩივრო კოლიტოლოგია

– ხმაი ხო უნდა მივცე, შე კაცო! – ხმაი მიძინას რეიზა უნდა, მაგი პრეზიდენტად კი არ გადის, მგონი თლათ მიდის...

– მაი არ გადის, ანთიმობა ჩემო, მარა იგი ორმეტრინი ყაბილანი რო დაყავს ნესტონია მაჭანკალივით იქით-აქით, იმას ხო უნდა მივცე ხმაი, მაგის კაცია და იმიზა ვამბობ, თვარა დანარჩენი წოულია წყალს, არაფრით უქნიათ ღმერთს.

– ოლიფანტე, მისმინე ავერ, გული რაცხა ბურჯანაძის ქალისკენ მიმიწევს, მაგიც არ უნდა იყოს ცუდი, ხო იცი შენ. გამოცდილია, ამ მამამაძალი ნაციონალიზმის ყოლიფანტი იცის და ქე შეიძლება არგოს ქვეყანას რამე. რაც არ უნდა იყოს, ქალია. ამგენმა ქე იმრძოლეს და ახლა ნაბრძოლეს დალაგება-დასუფთავება უნდა და ქალზე კარგად ვინ გააკეთებს მაგას.

– ბურჯანაძე კაია მარა, რაია იცი? ამგენის ამბავი ხო იცი, რუსის მხარეზელო და ათას რაცხას მუტურომენ. იქნება ამერიკამ არ ქნას მაი ამბავი, თვარა მაგას ვინ წუნობს, ბოზო, ქე იყო ორჯერ პრეზიდენტის სკამზე და იცის რაავალია იქ ჯდომა. ამან არ იცის, მარგველაშვილმა თვარა, იმან ყოლიფანტი ხუთი თითვით იცის. ისე ქე მეცოდება აი ბიჭი პოლიტიკიზა, ძალიან პატიოსანია, ხო იცი შენ.

– ამა წასულია ნაციონალიზმის საქმე. ვერ ხედავ, მიშაია დასამელ უშობელს რო გავს? ცუდადაა მაგი ატეხილი. ისე, ჩემო ოლიფანტი, რაცხა ყური მოვკარი ამერიკას ვარი უთქვია მასზე, ოლონდ ახლა ნუ დეიჭერ

მიძინა ბატონო მაგას და მერე რაც გინდა ის უყავიო. გვიან მიუხვდნენ, ხო იცი მაგის ვეკემენიკობას. რაავც ყოფილი მობი არ არსებობს, ოლიფანტე ჩემო, ისე ყოფილი ვეკემენიკივც არ მეიშლის მზაკვრობას...

– მართალი ხარ ძამია, ქე მიყიდა რუსებს ყოლიფანტი, ქე მიახოცა საჯიშე მოვშვები და ახლა იძახის ამერიკელებმა მიჩიეს ავიო. ჩოუშვა ყველა, ვისთანაც საქმე ქონია. ქე მრავობს, ხალხი დეიჭირეთ დროზე, თვარა ვდრუზავთ თავში რაცხასო, მარა მიძინამ უთხრა ამასაც დრო უნდა, ველორეზივით ხო არ ვევემით ყრონტში, ნაციონალიზმი ხო არა ვართ ჩვენცო, რას იტყვის ხალხიო. თუ კანონით არ მევიქეციო, არ ივარგებსო, ჭკვიანია მაი კაცი. დეიჭერე ჩემი ნათქვამი.

– ა, აღდგომა და ხვალეო. მეც ქე ვიცი მაგი, ძამია, მარა ამდენ გამწარებულ ხალხს ყოველდღე რო ოუტარ-ჩოუტარებ მაქნაძეს თვალწინ, ამოუვთა ყელში და მერე ვედარ დეიჭერ. იგიც დადის ძალის-ძალით, ვერ ხედავ, იქით-აქით იყურება, კაკოია მოზობიძესავით არ მოხლიმონ ლაყე ვერცხიო. წასულია მაგათი საქმე. ქე გემახსოვრება შენ ქრისტეფორე ფერშალი, რო დაბერდა და არავინ რო არ პატიჟებდა არსად, ოდა სახლის ბოლოვში იყო გამოჭიმული, ხალხს არ დავავიწყო თავიო, ისე არიან მაგენიც, კილო ყავენ თავიანთი ხალხი და იმათ აჩვენებენ, ხო ფაფუხურობთ ჩვენც, ხო ვხარავთ თქვენს ნაქურთ ფულუმს აღმადამა სიარულშიო.

– ისე მაი სამი აღამიანი გავა რაცხა ხმემს

რო ეიღებენ, თვარა დანარჩენი ტყვილა ყრინან მაქანა, არავესი მტყენა მე.

– ვის უნდა დაუჯერო კაცო. ჯერ რა უბედურებაა 23 კაცი. ახლა ქეჩაში რო კითხო ცხვინმოუხოცავ მაღანას, პრეზიდენტი რო იყო, რას გააკეთებო, გადმოაგდებს ენას და აგამენებს ხუთ წუთში იმდონს შეგპირდება. ერთი არ იტყვის, რა დროს ჩემი პრეზიდენტობაო. გუშინწინ არ იყო ავერ ქეთაისში, მერს რო იჩვენდნენ და 75 კაცს მოუნდა სკამი, ბიულეტენის მაგივრად თორმეტფურცლიანი რვეული დაჭირდა მაგათი გვარების ჩამოწერას.

– კაი, თუ ძმა ხარ, – ხელი ჩაიქნია ოლიფანტემ. – იგი რომ გამოდის წვერეგაბურძგვნილი, რა გვარია... ცესკო, რო იყო... ჩვენეზური გვარია რო აქ...

– ხარატიშვილი.

– ხო, ხარატიშვილი. მაგას დეიჭერდნენ მეგონა და ქე ფეკავს მრტყელ-მრტყელმს ტელევიზორში. ნათელაშვილის მტყეროდა რაცხა, ჩემო ანთიმობა, მარა ვერ უნდა იყოს მაგი სად ჭკუაზე. ბიჭო, მიძინას რო დაუწყებ ლანძღვას, რუსის კაცი ხარო, მაგი არ იყო მიშაია ამდლას რომ დაუთმო ადგილი?! მაგი არ იყო, რომ ეიჩნია ხალხმა და გააფიჩნია ფეხები ახურეზული უშობელივით, არ შევალ პარლამენტშიო?! ახლა ქე მოუნდა პრეზიდენტობა... ან იგი, თარგამაძე როა, ისე რეზობამ, ჩვენმა, ამამუკვლამ, ქე შეარქვა გალსტუკიანი ხვლიკიო. შე კაი დემამიშვილო, ჯერე იყო და ასლანას უგანე, მერე იყო და პატარაკვიპილს უგანე, თავიდან მიძინას მხარეზე იყო და ახლაც რაცხას ფაფუხურობს, გავიჟდებო კაცი. არა, იმას რო ყვირის, კაცმა კაცი არ მეიყვანოს ცოლალო და ხელს რო აწერიებს რაცხა ფურცლებზე, ვინცხამ მითხრა, იმ ფურცლებით მოაგროვა ხმები ვენტი რო ეყარა, თვარა იმდენი ხალხი სა ყავს მაგასო...

– ოლიფანტე, მაგდონი ხალხი, გემახსოვრება შენ, შვილის ქორწილში მყავდა და პაიყემული კომუნისტების დროს, მაი აფერია, მარა ჯავახიძე რო დადის ბუზარაშეჩენილივით წალმა-უკულმა და რო გეიძახის, ამდენი კაცი მყავს ოჯახში და ამდონი გაქცეულია და მე დავამარჯუნებო, რაის დამხრუნეზელი ხარ შენ...

* * *

პარმა ხანს ისაურეს ანთიმობა და ოლიფანტემ. მიყვენ იმ მთისას, ამ ბარისას, რა სჯობდა მათ მოსმენას. ხარაგაულში რომ ჩავიდნენ, დავხდე ვაგნის და ისევ მოლოსწინა გვერდზე მქონდა გადაშლილი. დამრჩა წასაკითხი, ან მოსმენილზე კარგს რას წავიკითხავდი. ორი წუთი ერთმანეთს უთმობდნენ გზას, არა შენ ჩადი პირველი, არა შენო. ასეთია ზემოთმხრული პოლიტოლოგობა და ზრდილობა. ტამბურში სიგარეტის მოსაწევად გასულმა დაძრული მატარებლიდან შევავლე თვალი, იდგნენ პერონზე და ისევ აგრძელებდნენ საუბარს.

მე კი ვფიქრობდი, ბურჯანაძეს მივცე ხმა თუ მარგველაშვილს?

ძაან დამაფიქრეს ჩემმა იმერლებმა.

გამუკა ვაზაპიძე ავტორის ნახატი

დედაბაღაძი

პაპის პარკის განახლების უპრობლემა

(განხილვა გვერდიდან) კერძოდ, როგორც უნ ყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში განმომარტეს, საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურისტები... თბილისზე არ ვრცელდება (!), დედაქალაქში ამ საკითხებს მერიის შესაბამისი სამსახური განაგებს. ვაკის პარკში მშენებლობისა და, როგორც შემდეგ თავად გავარკვიე, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ არაფერი იცოდნენ მწვანეთა პარტიამ, ისევე როგორც ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ არც მერიის სამშენებლო დეპარტამენტში, არც თბილისის საკრებულოში.

იმის დასადაგენად, თუ რა ხდება კონკრეტულად ვაკის პარკში, რა სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, იქაურობას მივაშურე, სადაც, როგორც თავში აღვნიშნე, თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის მთავარ სპეციალისტს **მამუკა ცაგარეიშვილს** შევხვდი, რომელმაც მიმდინარე სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ მიაბო.

– თავდაპირველად, მერიის სახელით თბილისელებს ბოდიში მინდა მოვუხადო, რომ პარკში მიმდინარე სამუშაოების დანიშნულების, მათი შემკვეთისა და შემსრულებლების, ვადების, ზოგადად პროექტის შესახებ საინფორმაციო ბანერების დადგმა დაგვიანდა, – თქვა ბატონმა მამუკამ. – სამუშაოთა არსი კი ისაა, რომ კუის ტბის

ფერდობიდან ჩამომდინარე წყლებისგან ასარიდებლად გაგვეყავს სანიაღვრე მიწისქვეშა და ღია მცირე არხები, სამივე შადრევანს შეეცვლება დაზიანებული ქვის საფარი, რისთვისაც მოსამზადებელი გრუნტის სამუშაოები მიმდინარეობს, ხელახალი მოპირკეთების შემდეგ კი მათი მუსიკალური გაფორმების ტექნიკური სამუშაოები ჩატარდება, თვის ბოლომდე დასრულებული ახალი სანიაღვრე კოლექტორის მოსაწყობად მიწისქვეშა და ბუტონის სამუშაოები, მთელ ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა სავალი ზოლებისგან გამოყოფილად მოწყობა მოკირწყლული საველოსიპედო ბილიკები, მთლიანად შეიცვლება პარკის ტერიტორიის განათება, დაიდგმება ახალი დასაჯდომი სკამები და ურნები.

ბატონ ცაგარეიშვილის თქმით, გარკვეული პრობლემა პარკში ფეხით მოსიარულეთათვის ხეივანების საფარის საკითხი. საქმე ისაა, რომ ახლა ხეივანებში პემზის ფხვნილია მოყრილი, რომელიც მშრალ ამინდში საშიხელ მტვერს აყენებს, რაც ჯანმრთელობისთვისაც მავნეა და ტანსაცმელზე ფეხსაცმელსაც გვარიაანად სვრის. ამდენად, პემზის ფხვნილის სხვა საფარით შეცვლას გვეგავერ, თუმცა, რა იქნება ეს, ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

კითხვაზე, თუ რატომ დაინყო ვაკის პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები შუა შემოდგომაზე, როცა წინ საამისოდ ხელსაყრელი ამდენი დრო იყო, ბატონმა ცაგარეიშვილმა

მითხრა, რომ ამასთან დაკავშირებით მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი რამდენჯერმე ჩაიშალა იმ მარტივი მიზეზით, რომ გამარჯვებული კომპანიები შემდეგ გაზრდილ ფინანსურ მოთხოვნებს აყენებდნენ, რაც მერიისთვის მიუღებელი იყო და ტენდერების შედეგები უქმდებოდა. საქმის გაჭიანურებაც, მისი თქმით, ამან განაპირობა.

ამჟამად კი, ვაკის პარკში სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს რამდენიმე კერძო კომპანია აწარმოებს, მათ შორის შპს „ინსი“, რომელიც შადრევანების რეაბილიტაციას განახორციელებს, ინდემარემ „გიორგი მუშკულიანი“, რომელიც გარე განათების ქსელების რეკონსტრუქციას განახორციელებს, სამშენებლო სამუშაოებს კი შპს „კაუკაზუს ინვესტი“ აწარმოებს.

ოთარ მარიშვილი



რეზი

„აი“ ლიდერობას არ თმობს



შარშან მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის წინასწარ ფინალში „არმია“ ქუთაისის „აიას“ 31:17 აჯობა, ამიტომ გასულ უქმეებზე ავჭალის სარაგბო ბაზაზე, სადაც არმელებმა წლებანდელი გათამაშების ლიდერ „აიას“ უმასპინძლეს, რიონისპირელები რევანშის წყურვილით გავიდნენ სარბიელზე. თბილისელებს სხვადასხვა მიზეზით ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდათ, რამაც სტუმრებს იერიშების უფრო ლაღად წარმართვის საშუალება მისცა. მართლაც, ქუთაისელებმა პირველი ნუთებიდანვე აგრესიულად შეუტყეს და როხვაძემ ლელოთი ანგარიში გახსნა, სინაურიძემ კი ზუსტად გარდასახა - 7:0. პირველ ტაიმში „აიას“ უპირატესობა აშკარა იყო და იგი 19:8 დაწინაურდა. შესვენების შემდეგ პაექრო-

ბა უფრო თანაბარი გახდა, თუმცა ქუთაისელებმა შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება, 24:18 გაიმარჯვეს და გათამაშების ცხრილის სათავეში პოზიციები განიმტკიცეს. საქართველოს ჩემპიონატის 6 ტურში რუსთავის „ხარებს“ ერთადერთი ქულა ჰქონდათ და სატურნირო ცხრილში ბოლო - მეათე ადგილზე იყვნენ, რაც გუნდს საკუთარ მოედანზე კიდევ ერთი წაგების უფლებას არ აძლევდა. თბილისის „ლოკომოტივთან“ საშინაო მატჩში „ხარებს“ წარმატების მისაღწევად არაფერი დაუშურებიათ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავსო. თავიდან სტუმრები 7:0 დაწინაურდნენ, რასაც მასპინძლებმა ლელოთი უპასუხეს. რკინიგზელებმა იერიშები გააძლიერეს და ანგა-

რიში სხვაობა 16 ქულამდე აიყვანეს. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე სიტუაცია დაიძაბა. მსაჯის მიერ დამატებულ ნუთებზე „ლოკომოტივმა“ კიდევ ერთი ლელო გაიტანა და გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვება (31:15) ჩაინერა. წლეულს ზაფხულს „ბათუმის“ ლიდერები - გიორგი ბეგაძე და შავლე მახარაშვილი სათამაშოდ „ბოლნისის ყოჩებში“ გადავიდნენ. ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩში მათ სწორედ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ითამაშეს. ბოლნისში გამართული პაექრობა მასპინძლებსა და ზღვისპირელებს შორის დაძაბული და საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა. თუმცა, ორთაბრძოლისას მოედანზე არასასიამოვნო მომენტებიც იყო, კერძოდ 47-ე ნუთზე, როცა სიტუაცია დაიძაბა - გუნდებმა ერთმანეთისკენ საჩხუბრად გაიწიეს. მატჩის მთავარმა არბიტრმა 2 მორაგბე 10-10 ნუთით გაასინა. საბოლოოდ „ბოლნისის ყოჩებმა“ სასურველ შედეგს მიაღწია - 59:27. ამ წარმატებით ქვემოქართელებმა სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს. ჩემპიონატის მე-7 ტურში „ჯიქებმა“ „აკადემიას“ მოუგო 33:3, ხოლო „ლელო“ - „არმაზის“ შეხვედრა გადაიდო. **სატურნირო მდგომარეობა:** „აი“ - 28; „ლელო“ - 23; „ლოკომოტივი“ - 23; „ბოლნისის ყოჩები“ - 20; „არმაზი“ - 18; „ჯიქები“ - 15; „არმია“ - 13; „აკადემია“ - 5; „ბათუმი“ - 5; „ხარები“ - 1 ქულა. **ლემსო ცინცაძე**

ფეხბურთი

ოთხსუნიანი განტოლება

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მონაწილე ბოლო 4 ევროპული გუნდი 19 ნოემბერს გამოვლინდება. ამ დღეს საკვალიფიკაციო ტურნირის ფლეიოფის საპასუხო შეხვედრები გამართება. ფლეიოფში გასული გუნდები გუშინ ფიფას შტაბბინაში გამართულ წილისყრაზე დაწყვილდნენ. პორტუგალია-შვედეთი, უკრაინა-საფრანგეთი, საბერძნეთი-რუმინეთი და ისლანდია-ხორვატეთი. ამ ოთხი წყვილის გამარჯვებული ბრაზილიის საგზურს მოიპოვებს. პირველი მატჩები 15 ნოემბერს შედგება, საპასუხო - ოთხი დღის შემდეგ. ამ 8 გუნდიდან უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე მხოლოდ ისლანდიას არ უთამაშია, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის გამარჯვებულ საფრანგეთს კი 1994 წლის შემდეგ პირველად დაემუქრა მუნდიალის მიღმა დარჩენის საფრთხე.



გიორგი შოთაძე

კალათბურთი

ბაპიტანი დაბრუნდა!



შე 16 ნუთი გაატარა და საკმაოდ კარგი სტატისტიკა ჰქონდა. ზაზამ 3-დან 2 ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულას 2 მოხსნა ნაამატა. ფაჩულიამ ბურთი ორჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და ერთხელ დაუფარეს.

ცენტრის პოზიციაზე სასტარტო სუთელში გამწვანებულმა ლარი სანდერსმა 26 ნუთში 12 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა და ისედაც ცხადია, რომ იგი ნბა-ს ვარსკვლავთა რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება. მოკლედ, საკმაოდ დიდი შანსია, რომ სეზონის სტარტისთვის ქართველი კალათბურთელი მილუოკელთა სასტარტო შემადგენლობის მოთამაშედაც იქცეს.

ტრამპიტი გამოწვეული სანგრძლივი პაუზის შემდეგ, რის გამოც მას 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუხდა, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა. ეს სასიხარულო ფაქტი ჩიკაგოში დაფიქსირდა, სადაც ზაზას ახალი კლუბი „მილუოკი ბაქსი“ „ბულვს“ გაეჯიბრა და საგამოფენო შესვენება 84:105 წააგო. ქართველმა ცენტრმა მოედან-


მაშედაც იქცეს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ახალი სეზონი სტარტს 29 ოქტომბერს აიღებს, „ბაქსს“ კი პირველი შესვენება 30-ში „ნიუ იორკ ნიქსის“ წინააღმდეგ ელის. მანამდე ფაჩულიას კლუბი კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს - იმავე „ნიქსთან“ 23 ოქტომბერს და „ტორონტო რეპტორზთან“ - 25-ში.

ვიტალი ჯაფარიძე

ინფორმაცია

უსს-ს ორთაბრძოლების კლუბის წევრები რუსეთში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ

ამ დღეებში სანქტ-პეტერბურგში შერეულ ორთაბრძოლებში ოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატის (MMA) უმასპინძლა ნევისპირა ქალაქის ფრენზურთის აკადემიის დარბაზში გამართულ M-1 Challenge 42-ის ტურნირში ქართველმა სპორტსმენმა ნოდარ კუდუხაშვილმა (84 კგ) ოქროს, სლო არჩილ თავიაშვილმა (65 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.



დაძაბულ ბრძოლაში ნოდარ კუდუხაშვილმა შამილ აბდულოვს სძლია. რუსეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოასპარეზე ყველა ქართველი სპორტსმენი შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაფუძნებული „უსს-ს სპორტული ორთაბრძოლების კლუბის“ მებრძოლები არიან. სამომავლოდ საბრძოლო ხელოვნების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმება კლუბის საწვრთნელი დარბაზის და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი განვითარება.

მანუარ გიორგაძე

ავტოსპორტი

ბარიკალო აღიარებს, რომ F1-ში დაბრუნებას ვერ ახმრხმებს

რომლოც ჩანს, ბრაზილიელ პილოტს, ვისაც ფორმულა ერთში ყველაზე მეტ რბოლაში აქვს მონაწილეობა მიღებული, F1-ის კარიერის გაგრძელების პერსპექტივა აღარ აქვს. სამაგიეროდ, ბრაზილიის სტოკ ქარის ჩემპიონატში გააგრძელებს ასპარეზობას. ეს ყველაფერი რუბინიუმ თავად აღიარა იმის პასუხად, რომ, პადუკო გაგრძელებული ხმებით, მას მალე F1-ის რომელიმე გუნდში ვიბილაგდით. არადა, ცოტა ხნის წინათ, თავად ბარიკალო ამბობდა, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ ფ1-ში დაბრუნებას აპირებდა. 41 წლის მრბოლს საჭირო სპონსორებიც კი ჰყავს იმისათვის, რომ საშუალო გუნდში იშოვოს ადგილი. ლაპარაკი იყო „ზაუ-

ბერში“ მის გადასვლაზე, სადაც რუბინიუმს თანაგუნდელი რუსი ახალბედა სერგეი სიროტკინი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შვეიცარიული გუნდის შეფმა მონიკა კალტენბორნმა ეს ვერსია პირადად უარყო. სწორედ ამის შემდეგ თქვა ბარიკალომ, ბრაზილიაში დარჩენა



მირჩენიაო. მართალია, ჯერაც არსებობს იმის რეალური შანსი, რომ მან რომელიმე საშუალო გუნდში იშოვოს ადგილი, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაწყვეტი ფაქტორი მაინც მისი ასაკია - F1 ძალიან გაახალგაზრდავდა და მის გარემოში 41 წლის მრბოლი უკვე არანაირ სტანდარტს აღარ შეესაბამება. ამ ასაკისამ თვით მიხაელ შუმასერმაც კი ვერ ისახელა თავი... ბარიკალო აღიარებს, რომ ფ1-ის რბოლებში მონაწილეობა ენატრება, თუმცა ბრაზილიაში ასპარეზობასაც აქვს დადებითი მხარე - რბოლის შემდგომ ის მალევე ახერხებს ოჯახში დაბრუნებას, რაც ფ1-ში ყოფნისას შეუძლებელი იყო. „ჩემი ცხოვრების ხარისხი უკეთესობისკენ შეიცვალა. ასე რომ, რასაც ერთი ხელი დაკარგავ, მეორეთი აინაზღაურებ“, - ამბობს ბარიკალო. **გაზან დოლიძე**

ინტერნეტიდან

რაფაელა ფიკო მზადაა. „ნაპოლისის“ გაუიჟვლდას

იტალიურში „მილანის“ თავდამსხმელის მარიო ბალოტელის ყოფილი „გერლფრენდი“, ულამაზესი რაფაელა ფიკო გაშიშვლებას აპირებს. იტალიელმა ლამაზმანმა პირობა დადო, რომ თუ ნეაპოლისის „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონი გახდება, იგი თავისი დიდებული სხეულით შიშვლად წარსდგება ყურნალის ფურცლებზე. რაფაელა ფიკო წარსულში ბალოტელის „ხათრით“ „მილანის“ ქომაგთა რიცხვებში იყო. ახლა კი, როცა ბალოტელის მკლავებში სხვა ქალი ნებვირობს, რაფაელამაც „მილანიდან“ „ნაპოლისკენ“ აიღო გეზი...

როსტომ რაჭველიშვილი



სამხატვრო გალერეა

თბილისის მუზეუმების „უცროსი მეგობრის“ ახალმოსახლება



დედაბაბუის მუზეუმების თანაგარკვევადში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა ნამდვილად გამორჩეული „ვარსკვლავია“ — მის ფონდში პატარა შემოქმედთა თორმეტი ათასზე მეტი ნამუშევარია დაცული. სექტემბრის მინ ურულს გალერეამ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ახალმოსახლება საზეიმოდ აღნიშნა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ესტეტიკური აღზრდის ცენტრის ბავშვთა სურათების გალერეა თბილისში 1968 წელს გაიხსნა და იმთავითვე დიდად პოპულარული და პრესტიჟული სტუდიის სახელი მოიხვეჭა. თავდაპირველად იგი სახელმწიფო ფილარმონიის მეოთხე სართულზე იყო განთავსებული, 1981 წელს გალერეა ბარათაშვილის ქუჩაზე უკვე საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ შენობაში გადავიდა, თუმცა, შემდეგ მას თოჯინების მუზეუმი „მეუამხანაგეს“ და დროთა განმავლობაში მხოლოდ ერთი სართულია შეინარჩუნა დარჩენილი. და აი, ახლა თბილისის მერიამ ბავშვთა სურათების გალერეას, რომელსაც კულტურის განყოფილება მუზეუმის პროგრამით აფინანსებს, აღმაშენებლის პროსპექტზე ახლად შეკეთებული კეთილმოწყობილი შენობა გადასცა.

— დღესდღეობით თბილისში ორასზე მეტი საბავშვო სამხატვრო სტუდია მოქმედებს, რომელთაგან ჩვენ თავდაპირველადვე დანერგული თავისუფალი ხატვის

სწავლების მეთოდოლოგიით გამოვიჩინეთ, — გვითხრა გალერეის დირექტორის მოადგილემ შალვა ბათლიძემ. — მისი არსი ისაა, რომ პედაგოგები პატარებს სამხატვრო ფანტაზიას არანაირად არ უზღუდავენ და სამყაროს საკუთრივი აღქმის მაქსიმალურად გამოსახვის უნარს უფითარებენ. ტრანსპარენტურად ჩვენს სტუდიის ნორჩი მხატვრები სხვა სტუდიების ალსაზრდელებისგან ხატვის თავისუფლებით გამოირჩევიან. მაქსიმალურად ვცდილობთ, არ ჩავერიოთ ბავშვის შემოქმედებით პროცესში. ბავშვები, განსაკუთრებით ბიჭები, უფრო თავშეკავებული არიან, გოგონები კი სწავლის პროცესში უფრო მეტ ცნობისმოყვარეობას იჩენენ, გაცილებით მეტ კითხვას სვამენ, თურა და როგორ უნდა გააკეთონ. ამასთან, ჩვენთან ბევრი არაქართველი ბავშვიც არის, რომლებსაც სწავლის პროცესისადმი სხვა დამოკიდებულება აქვთ და, მინდა გითხრა, რომ ეს ნამუშევრებსაც იმდენად ეტყობა, რომ მათი ერთმანეთისგან გარჩევა, ფაქტობრივად, უშეცდომოდ შეიძლება. განსხვავება თავად ნამუშევრებისადმი დამოკიდებულებაში, ფერთა შერჩევაში შეხამებაში, გნებავთ, თავისუფლების გამოხატვის ხარისხში იგრძნობა, რაც, ბუნებრივია, იმ გარემოზეცაა დამოკიდებული, რომელშიც ბავშვი იზრდება. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მომავალი ნახატის მთლიანობაში დანახვის

უნარი მათ არა მარტო შემოქმედებაში, ცხოვრებაშიც წაადგებათ, რადგან მოვლენის თუ პროცესის მთლიანობაში აღქმის სწავლაში დაეხმარება. მოკლედ რომ ვთქვა, ცდილობთ, რომ ბავშვების ხედავ, ასე ვთქვათ, სამიზნობილიებიანი იყოს.

ბავშვთა სურათების გალერეის საკლასო ოთახებისა და საგამოფენო დარბაზების დათვალიერების შემდეგ საუბარი მის დირექტორთან ლია გორგაძესთან გავაგრძელეთ.

— ახალი შენობით კმაყოფილები ვართ, სხვას თავი რომ დავანებოთ, საკუთარი გათბობა გვაქვს, — გვითხრა ქალბატონმა ლიამ. — ამჟამად ჩვენთან ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის დაახლოებით 50 ბავშვი მეცადინეობს, რომელთა მშობლები თვეში 40 ლარს იხდიან, ხოლო, თუ ერთი ოჯახის ორი შვილი სწავლობს, მაშინ 20-პროცენტისანი შეღავათი აქვთ. ბავშვები გუშოთ ხატავენ, ძერწავენ, თოჯინებს აკეთებენ, რომლებსაც მერე პატარ-პატარა თეატრალურ წარმოდგენებში „ათამაშებენ“. საკმაოდ მდიდარი „ატრალური აფიშა“ გვაქვს — „არგონავტები“, „კარმენი“, „ამადუესი“ ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთის ყოფაცხოვრების ამსახველი ცოცხალი სურათები...


ქალბატონი ლიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გალერეის პედაგოგებს, მეთოდისტებს, ფონდის მცველებს მაინცდამაინც დიდი ხელფასები არ აქვთ, ყველა-

ნი დიდი მონადინებით მუშაობენ, რასაც, ვფიქრობ, მათი მოღვაწეობის უბრალო ჩამონათვალის ნათლად წარმოაჩენს. ყოველწლიურად საშობაო, სააღდგომო, გიორგობის, ქართული თეატრისა და მუზეუმების მსოფლიო დღეებისადმი, სხვა დღესასწაულებში სადმი მიძღვნილ გამოფენებს აწყობენ, ელენე ახვლედიანის დაბადების დღეს კი, 18 აპრილს, მხატვრის სახელოსნოში „შემოქმედებით ექსკურსიაზე“ გაჰყავთ. გალერეას კარგი საქმიანი ურთიერთობები აქვს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, კიდეც სხვა მუზეუმებთან, დახმარებას საშუალო სკოლების პედაგოგებიც უწევენ ბავშვების სხვადასხვა თემაზე მასალების გაცნობაში. გალერეის ხელმძღვანელობა ასევე ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს აკრედიტებულ უცხო ქვეყნების, მათ შორის, ჩეხეთის, ირანის, ისრაელის, პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ევროკავშირის, სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან. საგულისხმოა, რომ ბავშვებს მათთვის უფრო ადვილად აღსაქმელ იმპრესიონისტების ნამუშევრებს აჩვენებენ, მერე კი ისინი არა ასლების გადახატვას, არამედ შედეგების საკუთრივი აღქმის გადმოცემას ცდილობენ და, როგორც ქალბატონი ლია აღნიშნავს, „ძალიან საინტერესო ნამუშევრები გამოსდით“.

— მიუხედავად იმისა, რომ გალერეას არა აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს, — ამბობს ქალბატონი ლია. — ვაპირებთ ხელოვნების ისტორიის, გამოყენებითი და ფოტოხელოვნების, თექვის წრეების ჩამოყალიბებას, უნარშეზღუდული ბავშვების არტთერაპიის კურსის შეთავაზებას. გალერეის ბევრი აღზრდილი უკვე ცნობილი მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი თუ სხვა პროფესიის შემოქმედი, ამდენად, გვირგვინი მოგანყობს. ვალი, „მე აქ გავიზარდე“, რომელზეც მათ ნამუშევრებს გამოფენთ. ცოტა ხანში კი ჩვენ აღზრდილთა გაერთიანებულ კატალოგზე ვინყვებთ მუშაობას, გალერეის ფონდი საამისოდ ჩინებული ბაზაა.

ისე კი, ვნახოთ, რა გამოგვივა...

ოთარ ტურაბალიძე, ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



მეუღლე ლეილა ბარათაშვილი, შვილი ლაშა ბარათაშვილი, რძალი ქეთი ჩიტაიშვილი, შვილიშვილები ბარათა, საბა ბარათაშვილები, დევი დარეჯან, თინა, თამარ ბარათაშვილები, ძმა ჯიმშერ ბარათაშვილი ოჯახებით, ცოლისდა მაგული რევიშვილი, ცოლისძმები ომარ, ელგუჯა რევიშვილები ოჯახებით, მძახალი ლუარა სინარულიძე იუნევიანი

ბორია ეპხანის ძე ბარათაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23 X, 17 საათზე, თბილისი ლ. ასათიანის №56. 24, 25 X, 17 სთ. ქ. ქუთაისი, სოფ. ჯიმასტაროში. დაკრძალვა 26 X, 15 სთ. სოფ. ჯიმასტაროში.

ფოთოლა, თენგიზ, გია კალანდიაძეები ღრმა მწუხარებით იუნევიან ახლოებული ადამიანის, საუკეთესო თვისებების მქონე პიროვნების

ბორია

ბარათაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

მარინა და ზურა ედიშერაშვილები ოჯახით მწუხარებას გამოხატავენ

ბორია

ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

რუსიკო, ტურფა კალანდიაძეები, ნანული ბოხუა, მარინა კანდელაკი მწუხარებით თანაუგრძნობენ ლეილა ბარათაშვილის მეუღლის

ბორია

ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო.



სუბარსიტყვა

ლექსრობი ერთ მინიბრს მართლაც რომ საგარეო ხარ, სულ გარე-გარე დადისარ. ჩვენც დაგვიდექი მეოხად, შემოგვიარე სანდისხან..

ჭინჭარსიტყვა

სანასო სანასვლოდ

ნაცო, ნაცო, ნაცარაო, პოლიტგზებზე ბანცალაო, ნუ ხარ ნამუსცანცარაო — ყველაფერზე ბაც-არაო?

„ოცნებას“ რად არ უფასებ რაც აქამდე გაცალაო, ქმნა მართლისა სამართლისა კოპაბიტზე გაცვალაო, მაგ შენი გადარჩენისა სადღეგრძელოც დაცვალაო... რამაზ ილიელი

მხატვრების საყურადღებოდ!

2013 წლის 5 ნოემბერს 16 საათზე მ. ბერძენიშვილის სახ. კულტურის ცენტრის დარბაზ „მუზაში“ ტარდება საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის წევრთა საერთო კრება.

- დღის წესრიგი: 1. საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის სახელწოდების შეცვლა; 2. მიმდინარე საკითხები. თქვენი დასწრება სავალდებულოა. (მისამართი: კუს ტბის ქ. №1). საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის ბაზგაოლა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუნევიან, რომ სანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, დამსახურებული ექიმი, მეან-გინეკოლოგი, გამორჩეული ოჯახის დედა, უსათნოესი ქალბატონი ნინო (ნუნუ) გამსეფლიძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს დარგის ღვანლმოსილ ხელმძღვანელს გურამ მგელაძეს მეუღლის ნინო (ნუნუ) გამსეფლიძე-გამსეფლიძის გარდაცვალების გამო. საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი

ლაიფსტი

სიპარაპი, ხელთათმანები და სხვა



სძილანიანი წიგნის კითხვისას საგვებით ბუნებრივია, რომ შესვენებისას კაცმა კითხვის შეწყვეტის ადგილი რაიმე ჩასადებით მონიშნოს.

ამერიკის ქალაქ ლინკოლნის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა იმის დადგენა გადაწყვიტეს, თუ რა საგნებს იყენებდნენ ჩასადებად ის მკითხველები, ვისაც წიგნები სახლში მიჰქონდათ.

ბიბლიოთეკარებმა შეძლეს მსგავსი „ჩასადებების“ ამოღება და ერთობ საგულისხმო გამოფენაც მოაწესეს. აღმოჩნდა, რომ მკითხველები ჩასადებად ასევე იყენებენ ძველ ავიაბილეთებს, შებოლილი ძხვის ნაჭრებს, მშრალ ნამცხვარს, ფეხსაცმლის მაშველებსა და ზონრებს, პომადას, მოკეცილ სიგარეტის კოლოფებსა და სიგარეტების ნამწვავებს, სიგარეტს და პირად საბუთებსაც კი.

რა არის, რას ვაპყნის ეს საჭმელი!

შემწერი საჭმელი, თურმე... მიიმე ნერვულ და ფსიქიკურ აშლილობებს იწვევს! ნებისმიერი უგემური საკვები ადამიანის ემოციურ განწყობას აქვეითებს, მის აპათიასა და სწრაფად დაღლას იწვევს, ასევე დეპრესიის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

„განძეული კუნძული“

განძეული არ არის

0684 წელს წყნარ ოკეანეში აღმოჩენილი ქოქოსის კუნძული დღესაც უამრავ თავგადასავლის მაძიებელს იზიდავს.

მიანიანთ, რომ ქოქოსის კუნძული რობერტ სტივენსონის გახმაურებული რომანის „განძეულის კუნძულის“ პროტოტიპი იყო, ამიტომ აქ ყოველწლიურად სათანადოდ აღჭურვილი ათასობით განძეულია.



ძის მაძიებელი ჩამოდის. თუმცა, თუ არ ჩავთვლით უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ნაპოვნი ოთხ ათეულ მონეტას, სხვა განძის მიგნება კუნძულზე ვერ მოხერხდება.

თავად ქოქოსის კუნძული ვულკანური წარმოშობისაა და მინისქვეშა ძალების მოქმედება ახლაც გრძელდება. წყლისა და ჰაერის ზეგავლენის შედეგად კუნძულს სახე გამუდმებით ეცვლება, ამდენად, ჯონ სილვერი და მისი მეკობრეები თავიანთ დამალულ განძს დღეს, ალბათ, თავადაც ვერ მიაგნებდნენ.



ნოლითელი პირუბჭი

ლატვიის ტბა ბურტნიეკუს ნაპირზე ნოლითის ხანის ადამიანის თავის ქალა ნახეს, რომელსაც ქირურგიული ოპერაციის აშკარა კვალი ეტყობა. პალეოპათოლოგ ვილის დერუბმის გამოკვლევებით დადგინდა, რომ თავის ქალის ტრეპანაცია კაუსის „სკალპელით“ გაკეთდა და, რაც ყველაზე საინტერესოა, იგი რამდენიმე ეტაპად ჩაატარეს!

წინასწარმეტყველი აკასიები

ცნობილია, რომ ცხოველები და თევზები მინისძვრებს წინასწარ გრძნობენ. იაპონელი მეცნიერი შიდეო ტორივადი ამტკიცებს, რომ მინისქვეშა კატაკლიზმების წინასწარმეტყველება მცენარეებსაც შეუძლიათ.



უძლიათ. მრავალი წლის მანძილზე ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი ტორივადი ამ მიზნით აკაციებს აკვირდებოდა, რის შედეგად ტოკიოს რაიონსა და კიოტოს შემოგარენში ოთხმოცამდე სხვადასხვა სიძლიერის მინისძვრა იწინასწარმეტყველა.

წვიმის წვეთების სხა

კანადელ მეცნიერთა ჯგუფის აზრით, წვილის ზედაპირზე დაცემული წვეთების სმის მიხედვით ამინდის პროგნოზის უფრო ზუსტი გაკეთება შეიძლება.

წვიმის წვეთების, სეტყვისა და თოვლის წყლის ზედაპირზე დაცემის სმას მეცნიერებმა კანადის ტბა კოვიჩანის ფსკერზე დადგმული წყალქვეშა მიკროფონით მოუსმინეს. სმოვანი სიგნალები ძლიერდებოდა და მათ ხმელეთზე მიღებულ მონაცემებს ადარებდნენ. შედეგად ამჩვენა, რომ წყალქვეშა ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიძლება ჰაერის სიჩქარის, წვეთებისა და ნაწილაკების ზომების დადგენა, ამდენად, მათი გამოყენება ამინდის პროგნოზირებისას მას უფრო საიმედოს გახდით.

ჩვენი პრესლაიფსტი

კუმინჯიკი ვახუსეპიჯან



მვილახე მვირადლირეპული ავტომობილაი მსს-8 შვიქინა

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევების პრეზენტაცია გუშინ გაიმართა. კვლევები სახელმწიფო მოხელეების ავტომობილების და საჩუქრების მიღება-არმიღებას ეხებოდა. რა სურათი დადო იმ კვლევებმა, რომლებიც საბიუჯეტო გადასმდელების უმრავლესობის ინტერესის წყაროს წარმოადგენდა? „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის კახა კოჭორიძის განცხადებით, ავტომობილების შექენისთვის დახარჯული თანხებით, ასევე, ჩუქებით განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოირჩეოდა. კერძო პირების მიერ მისთვის ნაჩუქარმა ავტომობილების რაოდენობამ 87 შეადგინა.


„ახალი თაობა“ აფხაზეთში საძარტველოს მოძალაძევის აღარ დაუშვებენ? სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქეებს აღარ დაუშვებენ. ოკუპანტების ამ გეგმის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო რუსი სამხედროების ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება და დასძენს, რომ ამ მიზნით ვენგურის ხიდზე კედლის აშენება იგეგმება. ქართველებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებენ, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს იტყვიან და ამას საბუთებით დაადასტურებენ.

დეაუტატივი დასაძმებულზე 420 პროცენტით მეტ ანაზღაურებას იძებენ

საძარტველოში პარლამენტარის საშუალო ხელფასსა და რიგითი მოქალაქის საშუალო ხელფასს შორის სხვაობა დაახლოებით 420 პროცენტს შეადგენს. მეზობელ თურქეთში ეს მაჩვენებელი 77%-ია, რუსეთში 63%, სომხეთში 31%, აზერბაიჯანში კი კანონმდებლობის თანამდებობებზე სარგოსა და საშუალო ხელფასს შორის სხვაობა სულ რაღაც 250 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა უკრაინას, აქ დეპუტატების თანამდებობებზე სარგოსა და საშუალო ხელფასს შორის განსხვავება 361 პროცენტია, ბელორუსიაში კი სულ რაღაც 400 პროცენტი. ამ მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში დეპუტატების თანამდებობებზე სარგო საშუალო ხელფასთან შედარებით, ახლო და შორეულ სამეზობლოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და 7 ქვეყანას შორის მე-3 ადგილს იკავებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანკალოტავი

- მისი, სად არის შენი სიდედრი?
- სასაფლაოზე.
- ვაპ, როგორ გიმართლებს მუდამ.
- მიმართლებს არა... ქმრის საფლავს და-ასუფთავებს და დაბრუნდება.
- იცი, მართლაც დიდი სულელი ვიყავი, შენ რომ გამოგყვივი ცოლადა!
- ძვირფასო, მაშინ ისე ვიყავი შეყვარებული, რომ ეს ვერ შეგამჩნიე.



სმის სიჩქარე საკმაოდ უცნაური რამეა: მშობლები რაღაცას გეუბნებიან ოცი წლისას, შენამდე კი ეს მხოლოდ ორმოცი წლის ასაკში მოდის.
- სიმდიდრის საიდუმლოება ის არის, რომ იოლია ფულთან განშორება.
- ღმერთო, მე კი ვერასოდეს ვერ შევხვდი მას.
თუ დღეს მაგანი ბანკიდან დიდ ფულს ხანგრძლივი ვადით და ყაჩაღური პროცენტით ისესხებს, ესე იგი, მას ექიმებმა უთხრეს, რომ მისი გამოჯანმრთელების შანსი არ არსებობს.

ავტორთა საჭურაფლაო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.
საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (მთავარი) პერმისიონის) ქ. 19
056433 66434
გამომცემელი: შპს „თინადატომბა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 1385001
მთავარი რედაქტორი ალექსი ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24